

1923 ၁

၇၇၄

№ 11—12

ԱՐԵՎԵՆ  
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



ՍԱԵԼՈՅԱՇՈՅՈՂ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆԻՆ

## შინაარსი

83.

1. ბ. ძელაძე—სურათი . . . . .	2
2. ბავშვია სიმღერა—ლექსი ს. ელისა. . . . .	3
3. ნატახურის საიღუმლო—(დასასრული) ლეო ქიაჩელის . . . . .	5
4. შემოდგომა ქალაქში, —ს. ერთაწმინდელისა . . . . .	12
5. ავდარი—ლექსი ი. სიხარულიძისა . . . . .	14
6. ფიშანგი, —ბალონც-მარქარის . . . . .	15
7. პატარას—ლექსი პ. ოდაშელისა . . . . .	16
8. ბარიკადებზე—თარგ. სიმონ წეველისა . . . . .	27
9. ბორის ძელაძე—ალ. მრივანისა . . . . .	33
10. ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის მეექვსე წლის თავი საქართველოში—მარიამ ორახელაშვილის . . . . .	37
11. ბავშებს—ლექსი შაშაშვილის . . . . .	43
12. სკოლების ცხოვრება . . . . .	44
13. შრომის სუფეფა—ხალხ. ზღაპარი ჩაწერილი სანდრო შანშიაშვილის მიერ . . . . .	49
14. სახალხო თეატრი —ფირუზისა . . . . .	56
15. ჯაჯილის ფოსტა . . . . .	61
16. გისართობი . . . . .	62



ნოემბერი და დეკემბერი 1923 წ.

ფილიფანი გეორგიოვსკის მუზეუმი.

#### ტფილისი.

პოლიგრ. განყოფ. მე-3 სტამბა, კალოუბნის ქ. № 5  
№ 1896 მთავრისმლიტგამ № 693





შუშა ქლასის ბრძოლაში გამობრძმედილა, რევოლუციისათვის თავ  
დადებული, შეუდრეჭელი გმირი, მტრის წინაშე უშიშარი, მუდამ  
მუშებისა და გლეხების ბრძოლის ლამპარი და სპარტაკის ხელმძღვა-  
ნელი, ს. ა. კ. კ. დამაარსებული

ბ. ძელაძე.

(1900—1923 წ.)



## ბავშვთა სიმღერა

აწია, ნორჩ რიგებით  
შოვდიგართ, მოვიმღერით;  
მზის სხივებზე აგებით  
და ყვავილთ ქნარის უდერით!..

\* \* \*

დავქრიგართ ახალ რწმენით,  
ვათამაშებთ ელვის ფრთებს;  
და ტკბილ მშობლიურ ენით  
ვქარგავთ ცად აწვდენილ მოებს!..

\* \* \*

ვამკობთ ქალაქის ქუჩებს...  
ჩირალდანს ვუძღვნით სოფელს;

უვავილებს, თბა-ქუჩუქებს  
 ვუნავთ, ფერხთ ვუშლით მშობელს!..

\* \* \*

წითელ წიგნს სიამით ვშლით  
 და ვქმნით ახალ ზღაპრებსა,  
 მომავლის ნეტარ გზებს ვთლით,  
 ზე ვწევთ ცეცხლის აფრებსა!..

\* \* \*

ახალ ცხოვრების ველებს  
 ვავლებთ ვარდისფერ ტუჩებს;  
 სწავლისაკენ ვწევთ ხელებს  
 და ვიწვევთ ჩვენებრ ურჩებს!..

\* \* \*

ყიუჩინებს ჩვენი რაზმი...  
 ისმის ძლევის სიმღერა;  
 კომუნით ნაიაზმი  
 ელავს ყრმითა სიმთ ქლერა!..

\* \* \*

სინათლის რაშებით ვფრენთ  
 და ვაგებთ ოკინის ანძებს;  
 მსოფლიოზე ცეცხლსა ვფენთ...  
 სალამი ჩვენებრ ანცებს!..

ს. ელი.




# ნატახურის საიდუმლო

## XI

საიდუმლო ადგილი, რომელშიაც მოხვდენ მეგობრები, წარმოადგენდა საქმარისად ფართო და მაღალ, ოთხივე კუთხით თლილი ქვით ამოშენებულს კორიდორს. ბნელოდა.

ხმაგაკმენდილნი, ანთებული ფარნებით ხელში ჩვენი მეგობრები მასში ლანდებივით მოძრაობდენ. ფრთხილად მიღიოდენ. ყოველ ნაპიჯზე შესდგებოდენ და ირგვლივ იცქინებოდენ.

ზათ აკვირვებდათ თლილი, ერთი ზომის ქვები, რომლებიც უფინა იატაკზე, და რომლებიდანაც შესდგებოდა კედლებიცა



და თაღამოყვანილი ქერიც, რომელიც გუმბათის მსგავსად ებურა კორიდორს მთელ სივრცეზე.

მიღიოდენ წინ მეგობრები, ხოლო დასასრული ჯერ კი-

დევ არ ჩანდა. ბოლოს შენიშნეს, რომ იყო თანდათან ფარ-  
თოვდებოდა და კერიც სულ მაღლა და მაღლა იწევდა.  
ორმოც ნაბიჯზე მეტი ეწევდოდათ გავლილი, როცა მეგობ-  
რებმა დაინახეს, რომ დიდი დარბაზის წინ იდგენ, რომლის  
კედლებს მისი მოცულობის სიღიღისა გამო ფარნების სუსტი  
სინათლე ვერ ძექნდა.

დარბაზს ოთხი დიდი რგვალი სვეტი ამაგრებდა. ოთხივე  
სვეტი ოხხუთხივ შეუ ადვილის იყო ამართული. ყარამანი  
მიუახლოედა პირველს და შეანათა ფარანი. სვეტები რგვალი,  
მთლიანი და დაახლოებით ერთ-საექნიანი ქვებით იყო ნაგე-  
ბი. მოშევო ფერი დაპრავდა. ოოგორც მაღლა კერთან,  
ისე ძირს იატაკთან სვეტს დაყოლებული ჰქონდა ჩუქურთმები,  
რომლების ხაზები მთლიანივე ქვისაგან იყო ამოყვანილი და  
არსად არ ეტყობოდა მინაღვამი. პირველის დაფალიერების  
შემდეგ, დანარჩენებს მიადგენ სინათლით მეგობრები. ოთხივე  
სვეტი სრულიდ ერთნაირი იყო და, რამდენადც შეეძლოთ  
გარკვევა ამ პირობებში, სულ არ განსხვავდებოდა ერთშა-  
ნეთისგან.

დარბაზიც რგვალი იყო. კედელი სულ ქვისაგან იყო ნა-  
შენი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დარბაზის კედლის ქვა  
უფრო დიდი ზომისა იყო, დაახლოებით  $1\frac{1}{2}$  ჯერ უფრო  
ფართო. თავიდან ბოლომდი შემოუარეს მეგობრებმა კედელს.  
აღმოსავლეთის მხრით სამი კარი აღმოჩინეს ერთმანეთზე  
მიყოლებული. კარები დაბალი იყო და იწრო.

სამსავეში შეანათეს სინათლე. სამივე ერთსადაიმავე  
კორიდორში გადიოდა. კორიდორი ისეთი ფართო იყო, რომ თუ  
არა სიგრძე, იგი დიდ ოთახსა ჰგავდა. მეგობრები გაკვირვა აქ  
იმ უცნაურმა გარემოებამ, რომ ამ კორიდორის ბოლოში საი-  
დანდაც სინათლე შემოიიდა კუთხოვანი სვეტის სახით,  
რომლის ფონზე გასოცირი სითეთრე კიაფობდა.

მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს ამის დანახვაზე. ყა-  
რამანი თითქმის სირბილით წავიდა სინათლისკენ. მიახლოე-  
ბისთანავე იყი შედგა და წამოიკირეა:

— მეგობრებო! — სანახაობასთან ერთად იყი გააკვირვა ხმა-

მაც, რომელიც იღუმალ ჩაესმა ახლა და რომელმაც მოაგონა ნატახტრის თავზე პირველად გაგონილი ხმა. იყი ახლა დაბალი იყო და ისე ისმოდა, როგორც უკეთ რამ ფარვატის ხმაურობა.

მიირბინეს მეგობრებმაც. ესენიც შედგენ გაოცებისაგან. ნახეს საოცარი სანახაობა: კორიდორი შვიდი საფეხურიანი კიბით უქრთდებოდა სრულიად განათებულ ოთახს, გვლილ დარბაზზე მცირედ უფრო პატარას, ხოლო სრულიად თეთრს ქალალდივითა, რომის სიღრმიდან იგი უცხო ხმაურობა მომდინარებდა.

იქ, სადაც ოთახი იწყებოდა, ზემოდან ციდას სისქის კუთხოვანი ნათელი სვეტი ეცემოდა კიბეზე და შარავანდედის სახით ბრჭყვიალებდა. მისგანვე უნდა ყოფილიყო თეთრი ოთახიც განათებული.

— აჟა! — თითქმ წამოსცდათ, ისე სთქვა ყარამანშა ამის დანახვაზე და დაუყოვნებლივ ავიდა კიბეზე. მას მიჰყვენ ძმაღნაფიცებიც.

პირველ თვალის მოვლებაზე მეგობრების ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ თეთრი კედლები თავიდან ბოლომდე წარწერებით იყო დამშენებული, ხოლო წარწერებში აქა-იქ აღამიანთა სახეები ამოქრილი. აღმოსავლეთის მხრით კედლზე საკეირველად დიზი ამობერილი ბარელიეფი შენიშნეს. მისი შეა გულიდან თვალში ეცათ აღამიანის სახე, რომლის ცოცხალი გამომეტყველება ისეთი ენერგიით გამოიცირებოდა, რომ მისგან მთელი სურათი იჩრდილებოდა.

— თითქოს ცოცხალი იყოს! — ჩუმად გაიკვირვა ყარამანმა და პისკენ გადადგა ნაბიჯი. მავრამ მისი ყურადღება ახლა სხვა სანახაობამ მოიტაცა. — ბარელიეფის წინ ორი ძველმარე ლომის ქანდაკის მხრებზე დასვენებულიყო საშუალო ზომის კუარცბლებეკი. მის შეა აღვილას ორი ერთმანეთზე მიყუდებული მოდიდო ფრთა იდგა, რომელთაც არწივის ფრთების მოყვანილობა ჰქონდათ. მათ ქვემოდან ბრჭყვიალი სინათლე გამოკრთოდა. შთაბეჭდილებაც ისეთი იყო, რომ ხმაც სწორედ იქიდან გამოდიოდა, საიდანც სინათლე ბრჭყვიალებდა.

ყარამანმა პირველად ეს კუარცხლბეჭი დაათვალიერა. იყი საუცხოო აღნაგობის აღმოჩნდა. სპილოს ძვლისაგან უნდა ყოფილიყო დგმული; მთელი მისი ზედაპირი მხატვრობით იყო შემცული. ხაზები და ფერები ძვირფასი ქვებისაგან იყო გამოყვანილი და ისე შეძმებული ერთმანეთში, რომ მისი თვალწარმტაცი ჰარმონია ვის არ მოხიბლავდა.

ერთი მხრიდან კუარცხლბეჭი ასავალიც აღმოჩნდა. ყარამანს არ დაუყოვნებია, ისე ავიდა მასზე. ახლა მან არწივის ფრთხებს მიმართა. ფრთხები ოქროსაგან იყო სხმული. მათ ბრინჯაოს ფერი გადაჰქრიავდა, რომელსაც აღმაცერ ხაზებად ეფინებოდა ქვემოდან მოკიალე სინათლე, შეუცნობელ ხმიანობასთან შეხავებული. ყარამანმა თვალები ახლო მიიტანა ამ საკვირველებასთან, მერმე წელში გაიმართა და მევობრებს საიდუმლოდ ანიშნა მასთან ამოსულიყვნენ. როცა ძმილნაფიცები ავიდენ კუარცხლბეჭის ასავალზე და ფრთხებთან შეჯგუფდენ, ყარამანმა ხელი მოჰკიდა ერთ ფრთხს და ფრთხილად ასწია. ხელის შეხებისთანავე ფრთხები თავის თავად გაიშალნენ ჩაწერილი გამოშენების წინ გამოჩნდა ცისკრის ფერად მოკიაფე მეოთხედი ადლის ოდენა ოთხკუთხედი ფიცარი, უცნობი მასალისაგან გამოჭრილი, რომელსაც აშენებდა წარმოუდგენელი მოხაზულობის ნიშნებითი სამკაული. ამ ფიცრის გამოჩენა და წკრიალა ხმის შეწყვეტა ერთი იყო.

ერთხანს ისეთი სიჩრდე ჩამოვარდა, რომ მისგან ფერი ეცვალათ მევობრებს. თითქმი რაღაცა ძალიძე ყარამანს ბარელიეფისკენ მიახედვინა. თუ არა ყარამანი, სხვა უთუოდ ვერ გაუმაგრდებოდა იმ თვალებს, რომლებიც კედლიდან პირდაპირ შესცემოდენ მას. გამაფრთხილებელი მრისხანება ისეთი ძალით ეჭრებოდა გულში ყარამანს, რომ მან ძალაუნებურად დახარა ძირს თვალები და შექანებით მოშორდა, ბარელიეფს.

— რა უნდა იყოს? — გაისმა უცებ იოთამის ხმა. მისმა ხმამ გონს მოიყვანა დანარჩენები. ყარამანს ახლაც ვერ აძოგდო ხმა.


კარგა ხანს შემდეგ მან გადახედა ძმილნაფიცებს და იღუბლი ხმით უთხრა:

— ეს ამ საიდუმლეობის ამოცანაა, ჩემო მევობრებო!

— ფიცარხელაც ჩაღაცა წარწერაა, ბიძია! იქნება წა-  
იკითხო! — ვეღრების კილოთი წასჩურჩულა ყარამანს ოთარმა.

— მეც შევნიშნე... არის წარწერა! მაგრამ ამისთანას შე  
პირველად ვხედავ. ის ჩვენ ებური არ არის. ეს ივი, არც  
მხედრულია და არც ხუცური! არც იქროვლიფურია. მას  
ლურსმულისებური წარწერის ხასიათის აქვს, ხოლო ლურს-  
მულიც არ არის!.. მაგრამ საკვირველება აქ თრი რამ არის:  
ხმა, რომელსაც ალბად ეს ფიცარი გამოსცემდა და სახე აი,  
ამ ბარელიეფისა, რომელიც, როგორც სჩანს, თვისი საშინელი  
გამომეტყველებით დარაჯობს ამ საიდუმლოებას!

მცირე ხანს კვლავ სიჩუმე დამკვიდრდა.



— რა უნდა იყოს ყოველივე ეს? იქნება, ჩვენვა მეცნი-  
ერებამ შესძლოს ამის გამორკვევა! — დაარღვია ახლო სიჩუმე  
ყარამანმა. — შეიძლება ხეთების მიერ დაცულ საუნჯეს წავ-

წყლით, მაგრამ ეს შორეული ჩვენი წინაპრები რომ არ ბინადრობდენ? თუ ეს აღმოჩენა, იქნება, მათს ტერიტორიასც აფართვებდეს და ახალ საბუთებს გვაძლევდეს ისტორიისათვის. ყოველ შემთხვევაში ეს უმაგალითო აღმოჩენაა და შესძლებელია, ამას შემდეგ ძირითადად შვიცვალის აქამდე არსებული შეხელულება ჩვენს წარსულზე!.. თუმცა რას ვამბობ, არა მხოლოდ ჩვენს წარსულზე, არამედ მთელ ისტორიაზე-დაც. მაგრამ ეს ამბავი მეცნიერებას მოვანდოთ! ჩვენ კი ერთხელ კიდევ დავათვალიეროთ აქაურობა! — ამ სიტყვებით ყარამანი და მისი მეგობრები ჩამოვრდენ კვარცხლბეკის ასავალიდან და ოთახის დათვალიერების შეუდეგენ. როცა საიდუმლო სინათლის სკეტს დაუახლოვდენ, ისეთი გაეკირვება გამოეხატათ სახეზე, სხვა ვინმე რომ ყოფილიყო გარეშე მათი მაყურებელი, უთულ იფიქრებდა, ეს აღიმიანები გიუდებიანო. — სინათლე მაღლიდან ეშვებოდა, მაგრამ ის აღგილი, საიდანაც იყი თითქო გამოდიოდა, შეკრული იყო სრულიად ისე, ოოგორუკერის სხვა აღილიცა და არავითარი სარკმლის ნასახიც კი არსად არ იყო.

— ეს კიდევ მესამე სასწაულია, მეგობრებო! — მცირე ხნის დაკარგების შემდეგ წარმოსთქვა ყარამანმა.

— რა ვქნათ? — გულაძოს კვნით იკითხა იოთამშა, რომელ-საც ყველაზე უურო ეტყობოდა მოუთმენლობა.

— დამერწმუნეთ, რაც ვნახეთ, ეს კიდევ ყველაფერი არ არის! იქნედან გასავალი ჩვენს პირველ ებში უნდა მიღიოდეს და გზა-და-გზა რა ამბავია, ამის თქმა წინდაწინ არავის შეუძლია! მოიგონეთ პირველი ების საიდუმლო კარი ჭრიში, საიდანაც მე ჩამოვარდი, და თქვენ დამეთანხმებით, რომ... მაგრამ ეს შემდეგისათვის. ახლა კი ჩემი წინადადებაა: ის ფიცარი, რომელიც არწივის თქმის ფრთხით იყო დაფარული და ხმიანობდა, აქედან წავილოთ და ჩვენი უნივერსიტეტის რექტორს მივუტანოთ მთელი ამ ამბის გადაცემით. მე დარწმუნებული ვარ, რომ მეცნიერები მყისვე წამოგვყვებიან აქეთ და შეუდეგებიან აქაურობის შესწავლის! თუ მართალი გინდათ, ვვრობაც მოსაწვევი იქნება... — დაასრული ყარამანმა.

— უთუოდ ასე უნდა მოვიქცეთ! — დასტური დაჰკრეს ყარამანის აზრს ძმაღნაფიცებმა...

## XII

ხეთშაბათი იყო, ნატახტრის საიდუმლოს აღმოჩენის მე-  
სამე დღე, როცა ყარამანი, ოთარი, ოორნიკე და იოთამი ქ.  
ტფილის ში ჩამოსულები ქართულ უნივერსიტეტი ში შევიდენ,  
და ყარამანმა ჰკითხა დარაჯს:

— ბატონი რექტორი რომელ ოთახში ბრძანდება?

— რა საქმე გაქვთ? — შეუბრუნა დარაჯმა.

— ჰმ... — ენა ვერ მოაპრუნა ყარამანმა პირში. ან რო-  
გორ ეთქვა, თუ რა საქმე ჰქონდა.

— ძალიან დიდი საქმე! ძალიან დიდი! — ვერ მოითმინა  
ოთარმა და თავაზიანი ღიმილით. მიუფლ ყარამანის მაგიდ.

— ჰო, ასე უთხარით, დიდი საქმეათქმა! — გამოერკვა ახ-  
ლა ყარამანი. დარაჯმა იჭირო გადახედა მოსულებს, რომლებ-  
საც სოფლურად ეცვათ და უბრალოდ, და მერე გაუძლევა წინ:  
— მოლით!

ყარამანს გულზე ცალი ხელით მიკრული ჰქონდა მაუდ-  
ში გახვეული ნატახტრის საიდუმლო ოფიციალური ნაბონი  
ფიციარი. როცა იგი გაჰკვა უკან დარაჯს, მეორე ხელიც მიი-  
შველია და ამნაირად ფიციარზე ხელ დაკრეფილად მიადგა იგი  
ბაჭონ რექტორის ოთახს.

— მოიცადეთ აქ, ვაუწყებ! — ესროლა მეგობრებს და-  
რაჯმა და ისინიც შედგენ.

— რომ არ დაგვიჯეროს ბატონმა რექტორშა? — ჩუმად  
შეეყითხა იოთამი მეგობრებს.

— მართლა, მაშინ რა ვქნათ? — ერთად სოჭვეს ოთარმა  
და ოორნიკემ.

— ჯავრი ნუ გაქვთ, მეგობრებო! განა, დაგავიწყდათ,  
რომ ფიციარი თანა გვაქვს?! — გამარჯვებული ხმით უთხრა მათ  
ყარამანმა. ამ დროს გაილო კარი და გაისმა დარაჯის ხმა:

— მობრძანდით. ბატონი რექტორი თავის კაბინეტში  
მოგელით! —

ლეო ქიაჩელი.



## შემოდგომა ქალაქში

შემოდგომის ქარს იალქნები აუშვია...  
 ანაკრისფერებულ დღეებს ცივი ქათიბი გადუგდია  
 მხარზე და...

ცა შუბლ-შენაოჭებული დაჰყურებს ქალაქს, ოვალ აუ-  
 რემლებული უუშუნა წვიმა ეხლება დაღვრემილ სახლების  
 ფანჯრებს.

მეეტლე ზანტად მიერეკება გამხდარ ცხენებს.  
 მთვლემარე მთები ყურს უგდებენ მდინარის ზანტ ნანას...  
 და მოელიან მხის ნეტარი ვარდის ტუჩებით ქუჩორის გადა-  
 კოცნას.

შემოძარცულ ხეებს ზე აუზიდიათ სველი ტოტები და  
 მისტირიან დაკარგულ შეილებს, — ფოთლებს, რომლებიც  
 დაუნდობელმა ქარმა საითოაც გაირეკა.

დაყრუებულ ქუჩებს ახმაურებს გაგიფებული ავტომობილი  
 და გაქანებულ ტრამვაის ვაგონილან ისმის ხელებ-დალურჯე-  
 პულ კონდუქტორის ხშა: — თქვენი ბილეთი?!?

დალონებულ არემარეს ამაყი თვალებით გადმოსცეკრიან  
 ბუმბერაზ ქარხნების რკინის-ნებიანი ბუხრები და რუხი ბოლო  
 მიიზღაზნება მალლა. მანქანა ქმინავს და სალტე ბანს ეუბნება  
 მარადიულს.

ლურჯხალათიანების ფოლადის ნებით ატეხილი სიმ-  
 ლერა... იმედიან კოცონებს ანთებენ და ისერიან შორს სა-  
 მომავლო ნაპერწკლებს. ლეგა ფონზე ლამაზად ირხვევიან ალ-  
 მოდებული დრო შები და ელავენ შრომისათვის ომგატაბლინი...

ჩქარი ნაბიჯით მიემართებიან მოქალაქენი სამსახურში.

კოხტად ჩატარები მიღია მიღია მიღია მიღია რკინის სვეტის  
და მეურმეს უთითებს უმთავრეს ქუჩიდან.

წითელი ყაზარმის ტრიუმფის შესავალთან სდგას ახალ-  
გაზრდა გუშაგი და ორბის თვალებით სერავს მისავალ გზებს...

რუს ფარავებით მიაბიჯებენ პრძოლაში გამობრძედილი  
წითელი ჯარის რიგები და უკვდავი ყივილი აპობს ქალაქს...

სკოლაში მიმავალი ბავშები ყურაცხვეტილნი უსმენენ  
და... ჯიბეში ხელებჩაწყობილნი ჯავრობენ ცივ დღეებზე.

წვიმის ცავი ცვარნი უსველებენ იისფერ თვალებს და  
იყურებიან აღმოსავლებისაკენ: ელიან ყველას საყვარელ მზის  
აბრეშუმის თმების ჩამოშლას, რომ ალურჯებული სახეები  
დაიბურონ მით...

იხევა ნისლის ფარდავები.

მზე აჩენს ლალის ტუჩებს და ოდნავ გალიმებით — ბროლის  
თლილ კბილებს.

ქალაქი აწყობს აღლუმს, გაისმის მუსიკა და... მზე  
ამოდის...

— სმენაა! ! !

ს. ერთაწმინდელი.





## აედარი

დაღამდა... ბნელა. ცივა... ჰქოის..

რა საშანელი დარია!

ჰქოის, ელავს, გრგვინავს, ფა ცეცხლს ჰყოის,

ზანზარებს მთა და ბარია.

წვიმს და წვიმს კოკისპირულად,

მთიღან მოვარდენ ღვარები.

წყლით ავსებულან ხევები,

ვით ვებეროვლა ღარები.

თითქოს კლდეები ინგრევა,

ისმის გრიალი, ზანზარი.

წვიმს, ელავს, გრგვინავს, ქარი ჰქოის,

ბნელა... ლამეა საზარი.

ილ. სიხარულიძე.





## ფიშანგი.<sup>1)</sup>

(ნამდვილი ამბავი).

I.

დეკემბრის ციცი დღე იყო.  
მთა და ლელე თოვლის ბუ-  
რანში იყო მთლად ჩაფლუ-  
ლი. ქარი ჰლმულდა და თოვ-  
ლის ქულებს მტვერივით  
აბნევდა აქეთ-იქით. სქელ

თოვლს გზები შეეკრა. გარეთ არც ერთი სულდგმული არ  
ჰავანებდა.

აქლემების ქარავანმა გუშინწინ სალამოს ბინა დაიდო  
არდაბილ-თავრიზში; ქარავანი „საინი-გვალუკის“ მიმავალ

<sup>1)</sup> სპარსეთში დიდ ქარავანს ჩვეულებრივად წინ უძღვის  
ხოლმე ცველაზე ხნიერი, გამოცდილი და ჰქვიანი აქლემი, რომელსაც  
მჩატე საპალნე ჰქიდია, რომ გზაზე სიარულს შეეჩიოს. „ფიშანგი“  
სპარსული სიტყვაა, რაც ქართულად ნიშნავს: მეთაურს, მოწინავეს,  
წინამძღოლს. „ფიშანგს“ პატრონი ყოველთვის განსაკუთრებულ  
ყურადღებით ეპყრობა, იგი თავიდან ბოლომდე მორთულია ფერად  
და ლამაზი ფუნჯებით, მძივებით, პატარა სარკეებით და ზანგალა-  
კებით. ფიშანგს, როგორც გზის მაჩვენებელს, ყელზე ჰქიდია აგრე-  
თვე დიდხმიანი ზარი; ქარავანი ამ ზარის ხმას აჰყება და მწყობ-  
რად მიღიან დანიშნულ ადგილს.

გზაზე ჩამომხდარიყო შაჲ აბასის დროს აშენებულ და ნახევრად დანგრეულ ქარვასლაში დასასვენებლად.

მათი საპალნე ქიშმიშით სავსე პატარა ყუთებისაგან შეს-დგებოდა, რომელნიც უწესოდ იყო მიყრილ-მოყრილი დათვე-ლილ ქარვასლის ფართო ეზოში.

ძველ და დიდ გომურში აქლემები ჯგუფ-ჯგუფად ისხლ-ნენ ფეხმორთხმულნი და ოვალდახუჭულნი ზანტად იცობნე-ბოდენ.

აქლემთა ზედამხედველნი შეხვეულიყვნენ ცხვრის ტყა-ვისგან შეკერილ ჯუბაში და აქლემების ირგვლივ მიყრილი-ყვნენ დასაძინებლად.

მარტო ქარავნის უფროსი მეაქლემები პაჯი მაპმადი ფხიზ-ლობდა. მხრებზე მოეგდო ტყაბუქი და ისე იყო მიყუდებული გომურის კედელზე; მის გვერდით ანთებული ბუხარი ღულუ-ნებდა. პაჯი მაპმადი ჩიბუხს სწევდა და რაღაცა მძიმე ფიქრებს გაეტაცნა იგი.

ბევრი ვაი-ვაგლახი უნახავს პაჯი-მაპმადს, ბევრი ცივი და თბილი დღეები გამოიუცდა, ბევრ ხიფათს შეპბმია მარტოდ-მარტო და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა, მაგრამ ამ-ნაირი ქარბუქი ჯერ არ იხსოვს თავის მოგზაურობის ხანში.

პაჯი-მაპმადმა ჩიბუხის მოწევა მოათავა: ხელის გულზე გამობერტყა დანამწვარი წეკო და დასღო ბუხრის თავზე. მიუხალოვდა ბაკის პატარა ფანჯარას, გარეთ გაიხედა, თავის-თვის რაღაცა წაიბუტბუტა და თავი გააქან-გამოაქნა.

გარეთ ქირი კვლავ გაშმაგებით აწყდებოდა არეს. პაჯი-მაპმადმა ურუან ტელით ამოიხსრა, ფანჯარას მივარდა, მივიდა ბუხართან და დაუწყო ცქერა თავის საყვარელ იქლემებს.— აქლემები მშვიდად იყვნენ დაჩოქილნი და ისე ეძინათ.

პაჯი-მაპმადი უტბაა გამოერკვია ფიქრებისგან. აქეთ-იქით დაუწყო ძებნა თავის თანაშემწევებს, მაგრამ სიბნელეში ვერა-ვინ ნახა. ბოლოს ხმამალლა დაიძახა:—

— ნასრულლაპ! აი ნასრულლაპ, გძინავს?

— რა ამბავია, პაჯი! — ბაკის ერთ კუთხიდან შეესიტყვა ნასრულლა.

— ნასრულლაპ, წამოდექ, რაღა! არ გეყო მაგდენი

ძილი? ერთი გაიხედე გარეთ, ნახე რა ამბავია და!

ნასრულლა ზლაზენით წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა,  
მიიხედ-მოიხედა ირგვლივ. ბნელოდა. აქლემებს ეხებოდა და  
ისე იგნებდა გზას ჰაჯი-მაჰმადისაკენ, რომელსაც ბუხრის გვერ-  
დით მოეკალათნა.

როდესაც ნასრულლამ მოიკეცა ბუხართან, ჰაჯიმ მიჰმართა:

— ნასრულლავ! შენს სიცოცხლეში ბევრი გიმგზავრია  
და სწორედა სთქვი—ამნაირი ქარი და ბუქი გინახავს ოდესმე?  
— ვალლაპ, არც მინახავს და არც მახსოვეს! — უპასუხა ნასრულ-  
ლამ და თან ხელებს ითბობდა ბუხართან — დღევანდელი ამინ-  
დი ძალაზე მყინვავა.

— მერე სად, ისიც საინი-გეადუკში, საღაც ზაფხულ-ზამ-  
თარს განუწყვეტლივ თარეშობს დაწყევლილი ქარი — განმარ-  
ტა ჰაჯი-მაჰმადმა.

— ჰაჯი! ამ ქამად ჩვენი საქმე ცუდადაა; თუ ამ ორ  
დღეში დარი არ შეიცვლება, სამრალო აქლემები შიმშილით  
დაიხოცებიან. მერე, კაცო, ამ ვერანა ალაგას ვერც ბალას  
იშვივის კაცი და ვერც ბზეს.

— აქლემებს აქვთ საყოფი საჭელი? — ჰეთხა ჰაჯი-მაჰმადმა.  
აბა საიდან ექნებათ. ბევრი-ბევრი დილამდე ეყოთ, მერე  
კი ალაშმა უწყის, რა უნდა ვქნათ! — ნასრულლავ, რადგა-  
ნაც საქმე დერეა, ხვალ გაუთენებლივ აქედან უნდა  
გავიდეთ. — რას ამბობ, ჰაჯი? — გაკვირვებით თვალები და-  
აქციტა ნასრულლამ. — ნუთუ შესაძლებელია ამნაირ ამინდში  
მოგზაურობა? ჩემი სიტყვა სიტყვაა — უპასუხა ჰაჯი-მაჰმადმა.

— ხვალ უნდა გზას გავუდგეთ. — მე ასე მაქვს გადაწყვე-  
ტილი. — ჰაჯი! ეგ ხომ შეუძლებელია! ვერ ხედავ ამ  
თქეშსა და ქარაშოტს? თოვლს ყველა გზა შეუკრავს,  
აბა საუ რა უნდა მივაგნოთ? — ნუ გეშინია, ნასრულლავ, მე  
მივაგნებ გზას. ყველა გზა ზეპირად ვიცი, თუნდ თვალ-  
აქრული წამიყვანე, მაინც მივაგნებ გზას. — უთხრა ჰაჯი-მაჰ-  
მადმა და თან ულვაშებში ჩაიკანა... — ჰაჯი! თუ შენი თავი  
არ გებრალება — აქლემები მაინც შეიბრალე, სიცივისაგან გზაში  
ყველა დაგვეხოცება. ერთი დღეც მოვიცადოთ, იქნება აქეთ

მომავალმა ქარავანმა გზა გაგვიხსნას და მერე ჩვენც უცნებლად გავუდგებით გზას — ჩემი ფიშანვი გზას იპოვნის. მე სხვებთან რა საქმე მაქვს?.. — ჰაჯი! ეს კაცები მაინც შევიძრალოთ — და ხელი მიიშვირა მწოლარე მეაქლემეუბზე — გზაში ყველანი სიცივისაგან გაიფიჩებინ; მერე რა პასუხი უნდა გავცეთ მათ შვილებს? — ეგ შენი საქმე არ არის! წალი და ახლავე დააღვიძე ბიჭები, უთხარი, რომ ყველამ თავის აქლემს კარგად აქამოს და მოემზადონ წასასელელად: ხვალ დილით ადრე უნდა გავუდგეთ გზას! — ჰაჯი! გამიგონე, ნუ ხარ ჯიუტი, ერთი დღე რა არის, რომ არ გინდა მოიცადო?..

— მე დავპირდი საქონლის პატრონს, რომ შვილი დღის განმავლობაში ჩავაბარებდი ქიშმიშს. ხვალ არა და ზეგ სისულეება ეს დრო. სიტყვის გატეხა ჩემთვის დიდი სირცხვილია. — შენ იცი, ჰაჯი, მაგრამ ბოლოს არ ინანო... — ნასრულლა! ბიჭებს უთხარი, რომ ფიშანგს საპალნე მოხსნან და სამაგიეროდ მჩატე ტვირთი აჰკიდონ, რომ საჭმელი ცალკე მისცენ და ჩვეულებრივზე მერი.

ნასრულლამ მოსამსახურები დააღვიძა. როდესაც მეაქლემებმა გაიგეს, რომ ხვალვე უნდა გაუდგენ გზას, ერთი ორომტრიიალი ასტეხს, მაგრამ ჰაჯის მოსვლისთანავე ხელად ჩიჩუმდენ.

ჰაჯი-მაჰმადმა აათვალიერ-ჩათვალიერა თავისი ქარავანი, მიუხახლოვდა ყველაზე ბებერს და გამოცდილ აქლემს, თავის საყვარელ ფიშანგს, რომელიც გომურის კუთხეში განმარვებით იწვა და ხამუშ-ხამუშ სქამდა წინ დაყრილ საჭმელს. ჰაჯი მაჰმადმა დაუჭირა ფიშანგს თავი, მოუალერსა, შეუბლზე ხელი გადაუსვა და ოვალებში რამდენჯერმე აკოცა. ჭკვიანი საქონელი, რომელიც პატარიბიდანვე შეზრდილიყო ჰაჯისათან, მიხვდა პატრონის აზრს და თითქოს უნდოდა ეთქვა: „ჰაჯი! ნუ გეშინია მე გზას გავხსნიო.“

ჰაჯი, როცა სათანადო დარჩება მისცა თავის თანამოსამსახურებს, კვლავ მივიდა ბუხართან, წამოწვა ტახტზე; მოიხურა ტყაბუჭი და მიიძინა. ნასრულლას კი ძილი არ ეჭარებოდა, მოეკეცნა საცოდავად და ჰაჯის ჯიუტობას და ხვალინდელ გამგზავრებაზე ფიქრობდა.

ბაკში სიჩუმე სუფევდა.



## II.

მეორე დღეს, ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულიყო, რომ ჰაჯი-მაჰმადმა დაალვიდა მოსამსახურეები და უბძანა, რომ აქლემები გარეთ გამოეყვანათ და საპალნები აეკადათ.

ბაკში ბნელოდა; მეტალემები ერთმანეთში აირიენ და გამოურკვეველი ჯილჯილი ისმოდა ბაკში.

აქლემების მოსართავ ზარების ხმა, თვით აქლემთ ბლავილი და ბიქების ყვირილი ერთმანეთში ისე აირია, რომ ერთმანეთისა არავის არაფერი გაეგებოდა. მხოლოდ ჰაჯი მაჰმადის შძლავრი ხმა ისმოდა ომახიანად, რომელსაც ფიზანგის ჯილავი ეჭირა ხელში და რთავდა თავის წინამძღოლს.

მოსამსახურებმა ბაკიდან გამოიყვანეს აქლემები და ლაუნენებს თავიანთ საპალნებთან. საბრალო პირუტყებს არ ეჭაშნიერ ცივი ჰაჯი და როცა თოვლი დაინახეს,—არ ემორჩილებოდენ კაცებს და არ ჩოქდებოდენ საპალნის ასაკიდებლად.

ყველანი მზად იყვნენ. ნასრულლა წარუდგა ჰაჯის და მოახსენა, გასამგზავრებლად ყველანი მზად ვართ და შენ გიცდითო.

ჰაჯი მაჰმადმა გამოიყვანა ფიზანგი და ლაუნენა ქარავნის მოწინავედ. მისი სამკაული, ზარის გარდა, ჯერ კიდევ გუშინვე მოხსნა და შეინახა. საბრალო პირუტყვი უსამკაულოდ და უსაპალნოდ უშნოდ გამოიყურებოდა.

ალლაჰ, შენ იყავ ჩვენი მფარველი! სოქვა ჰაჯიმ და ხელები მაღლა აღაბყრო.

გაიღო დიდი ალაყაფის კარი და ფიზანგის წინამძღოლობით დაიძრა ქარავანი.

ჭკვიანმა და გამოცდილმა პირუტყვმა ირგვლივ მოავლოთვალი, თავი დააქნია, დაცუმინა და მძიმე ნაბიჯით გაპყვა თავის ჰატრონს.

ქარავანი გზას გაუდგა.

ჰაჯი მაჰმადმა ცოტა გზა რომ განვლო, თოკი ფიზანგის ჭისერს დაახვია და თვითონ უკან გამყება.

შუალემდე ქარავანმა უკვე დიდი მანძილი გაიარა. გზა-

ში არავინ შეხვედრიათ. ფიშანგი მიუხელოვდა ხიფათიან და საშიშ აღვილს, რომლის ზემო მხარეს დიდი მთა იყო, ქვეშ კი ისეთი უზარმაზარი ხევი მოსჩანდა, რომ მნახველს შიში-საგან ურუანტელი მოუყიდოდა. ამ აღვილიდან რამდენიმე ასი ნაბიჯით წინ ისეთი ვიწრო გზა იყო, რომ წყვილად გავლავერ მოხერხდებოდა. სწორედ ამ ალაგას შესდგა ფიშანგი. წინ არ უნდოდა წასვლა, რაღვანაც ახლა ბრვრი ნათოვლისაგან გზა სრულიად არა სჩანდა. ჰაჯი-მაჰმადი მიუხელოვდა ფიშანგს და უსაყვედურა: რად შეჩერდი; გზა დაპკარგე? ნუ გეშინია, წალი, მე აქა ვარ!..

აქლემმა სასოჭარკეთილ სახით გადახედა პატრონს, თით-ქოს უნდოდა ეთქვა, ჸაჯი, გაჭირვება მაღვია, მიშველეო-ფიშანგი წინ წასვლას ვერა ბედავდა და მალიმალ თავის პატ-რონს გადახედავდა ხოლმე.

ჰაჯი მაჰმადმა ვერაფერი მოახერხა: აქლემი გაქვავდა ერთ აღვილს.

სწორედ ამ დროს, როცა ჰაჯი-მაჰმადი და ფიშანგი იმედ-გადაწყვეტილნი ერთმანეთის შესცემოდენ, ქარავანის ბო-ლოდან ნასრულლას ჩმა მოისმა.

— რა მოხდა! რისთვის შეჩერდით? — ნასრულლა! რო-გორც სჩანს გზა დავკარგეთ, ფიშანგი წინ არ მიდის. რა ვწათ?

— ჰაჯი! აკი გეუბნებოდი, მოეიცადოთ მეთქი! ერთი დღე რა იყო? აი, ეს გინდოდა! ახლა რა ვწათ?

— კარგი, რაც მოხდა, მოხდა. რას გვირჩევ, ნასრულლა?

— ჰაჯი! მოდი უკან დაებრუნდეთ.

ჰაჯი და ნასრულლა თავისთვის ლაპარაკობდენ. ფიშან-გი კი იდგა და აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს გზას ათვა-ლიერებს, ითვალისწინებსო!

უცბად ფიშანგმა არახვეულებრივი ხმით დაიღმუვლა, დაი-ჩოქა თოვლში, კისერი წაიგრძელა, დაყნოსა თოვლი, თავი ხელმეორედ ასწია მაღლა, უცნაურად დაიფშინა.

აქლემის უცნაურ ხმაზე ყველას შეეშინდა; მივარდენ მისა შველებლად, მაგრამ, ვიღრე მივიღოდენ, ფიშანგმა ცალი

გვერდი მიაყედა მთას, წინა ფეხებით და მკერდით თოვლი გათელა და ნავივით დაიწყო წინ ცურვა. ჯერ რამდენიმე მანძილზე მძიმედ გაცურდა, მერე თანდათანობით მოუხშირა წინ წასვლა.

როდესაც მექარავნეებმა ფიშანგის გამბედაობა ნახეს— მთლად საატად დარჩენ. ზოგს ეგონა, რომ აქლემი ხევში გადაიჩეხებოდა, ზოგს ებრალებოდა პირუტყვი და ჰაჯი-მაჭარის ემდურებოდენ, უფრო მოშიშარნი კი გაიძახოდენ: „ალლაჰ, ალლაჰ!!

— ჰაჯი, ააყენე აქლემი, ცოდვაა, ხევში არ გადაიჩეხოს.  
— უთხრა ნასრულლამ.

— მოდი ჯერ კიდევ ცოტა ხანს ვაცალოთ, ვნახოთ, რას იზამს!

ფიშანგი განაგრძობდა წინ ცურვას და გზას ჰკვალავდა. როცა აქლემი რამდენიმედ მაინც დაშორდა ქარავანს, ჰაჯიმ შიმაოთა თავის თანამსახურებს:

— ბიჭებო, გამიგონეთ! მე ჩუმად გავყვები ფიშანგს, თქვენ კი აქ მომიცადეთ. თუ ფიშანგი მთისკენ გაბრუნდა, სჩანს გზა გახსნილია, შემდგომ არავითარი საფრთხე არ მოგველის: მოელი სიძნელე ეს თოვლით დაფარული ნაპრალი იყო. მე გაცნობებთ და თქვენც მომყვებით. ვინიცობაა აქ-ლემი ხევში გადაიჩეხოს და ვეღარ შევეშელო, მაშინ უკან დაეგბრუნდები. როდესაც მნახოთ, რომ თქვენსკენ მოვდივარ, ნულარ მომიცით, ქარავანი გააბრუნეთ უკან და წალით ისევ საინი-გეადუკისკენ.

ჰაჯი-მაჭარმა მიატოვა მსახურები და თვითონ კი კვალ-დაკვალ მიჰყვა ფიშანგს. სუნთქვა გრძაბა, რომ ფიშანგი არ შემკრთალიყო.

ფიშანგი მიუახლოვდა მთის კუთხეს. გაჩერდა, გარეშე-მო მიმოიხდა და ფრთხილად მიბრუნდა მთის უკან და იმავე ხერხით განაგრძობდა წინსვლას.

როდესაც ფიშანგი გზის სახიფათო ადგილს გასცილდა, წამოდგა, გაჩერდა, შეიბერტყა თოვლი. ჰაჯი მივარდა, და-უწყო მუხლებზე კოცნა და უკან მოიხედა. ფიშანგმა თავის ჰატრონს თავი მიუახლოვა, თითქოს ეუბნებოდა: „ჰაჯი, ნუ



გეშინია, გადავრჩითო! ქარავანი ერთ ადგილს იუგა გაშე-  
შებული და უკრიფენ ჰაჯის ნიშანს. ჰაჯის ერთბაშად მო-  
აგონდა ქარავანი და თითქმის გიშივით გაიქცა მთის კუთხი-  
საკენ, გაჩერდა, ფაფახი მოიხადა და რაც ხმა ჰქონდა, შესძახა:

— ნასრულლა, აი, ნასრულლა! გზა ღიაა, მოდით!

— ჰაჯი! ჰაჯი!.. მოვიდეთ?... ხმა მისცა ნასრულ-  
ლამ.

— მოდით! გიცდით!

მსახურებმა მაშინვე დაიჭირეს აქლემების ჯილავი და  
ფიშანგის მიერ გავლილ გზაზე თამამად წავიდენ.. მიუა-  
ლოვდენ ჰაჯის, შემოეხვიენ გარშემო და ერთმანეთს ულო-  
ცავდენ გადატჩენას.—ნასრულლავ, მომილოცავ! მოვედით  
თუ არა?

— ფაშა ჰაჯი ხარ, შენი უნარი ერთხელ კიდევ გვაჩვენე,  
ნამდვილად მგლის გული შეგიკამია!—სიცილით უპასუხა ნა-  
სრულლამ.

— ეს ჩემი უნარი არ არის, ნასრულლავ, აი, ვის უნდა  
ვუმაღლოთ—სთქვა ჰაჯიმ და მიუთითა ფიშანგზე, რომელიც  
თავმომწონედ იდგა და ამაყად უცქერდა ამხანაგებს.

— შენს მუხლებს დავენაცყლე, ჰალალი იყოს შენი  
ლუქმა, ფიშანგო.—სთქვა ნასრულლამ, მიუახლოვდა აქლებს  
და რამდენჯერმე აკოცა ფეხებზე.

— აბა, შვილებო, დროს ნუ ვკარგავთ, გავწიოთ; იქით  
საშიშო ალარაფერია. აი, აგრე შორიდან მოსჩანს სოფელი.  
ერთი საათის შემდეგ მივალთ და კარგადაც დავისვენებთ.

— ჰაჯი! მე მინდა თქვენზე აღზე სოფელში მივიდე, რომ  
აქლემებისათვის ბალახი და ბზე დავამზადო. რას იტყვი, ჰა?—  
უთხრა ნასრულლამ.

— ძალიან კარგი! ჰასანაც თან წაიყვანე. წინ წადით,  
რაც საჭიროა ყველაფერი დამზადეთ, ჩვენც ჩქარა დაგეწევით.

ნასრულლა და ჰასანა წინ წავიდენ. ჰაჯი-მაჰმადმა და მისმა  
მსახურებმა ტკბილი საუბრით და ფიშანგის ქებით განა-  
გრძეს გზა.

ნახევარ საათის განმავლობაში ნასრულლა და ჰასანა შე-

ვიდენ სოფელში, სადაც იმ ღამეს ქარავანი უნდა დაბანაკებულიყო. ამ სოფელში ნასრულლა და ჰასანა შეხვდენ გაჩერებულ ქარავანს, რომელიც აპირებდა რმავე გზით წასვლას, მაგრამ გზის გაუვალობის მიზეზით საჭი დღე შერჩენილიყვნენ ამ სოფელს. როცა ქარავნის ბელადებმა დაინახეს ჩამოსული ჰასანა, გაუკვირდათ და თანაც გაგხარდათ.

ნასრულლამ მოკლედ გადასცა თავიანთი თავგადასავალი და განსაკუთრებით ფიშანგის ყოჩალობა. ბოლოს დასძინა, რომ გზა გაკვლეულია და შეგიძლიათ გაემგზავროთ. ამ ამბავმა მექარავნენი ძალიან გაახარა. მაშინვე გამოიყვანეს ერთი დიდი ყოჩი, დაუძახეს სოფლის მეზურნებლებს და ყოურით წავიდენ ფიშანგის მისაგებებლად. სოფლის ახალგაზრდობაც შეუერთდა მოხუცებულებს და სიმღერით და თამაშობით გაუდგენ გზას. ვიდრე ნასრულლა შეიძენდა აქლემებისათვის საჭირო საკვებს, — ჰაჯი-მაჰმადი უკვე მოუახლოვდა სოფელს. მან შორიდანვე დაინახა სოფლის მცხოვრებნი, რომელნიც მათ მისაგებებლად გამოსულიყვნენ, მიზვდა ყოველივეს და გადასცა თავის მსახურთ, რომ ფიშანგისთვის სამკაული მოეტანათ და მოერთოთ. მოკაზმულ ფიშანგზე შესვეს ჰაჯი-მაჰმადი და ცოტა ხნის შემდეგ ქარავანი შევიდა სოფელში. ფიშანგი თავამართული და ამპარტავნობით მიუახლოვდა სოფლებლებს. მეზურნებმა დაუკრეს. მოიყვანეს ყოჩი და ფიშანგის ფეხების წინ ყელი გამოსჭრეს.

როცა ქარავანი სოფელში შევიდა, ჩამოსვეს ჰაჯი და ფიშანგს ყელზე ჩამოჰკიდეს აპლად გაკეთებული მძივების ფუნჯი.

შეკრებილ ხალხს ჰაჯიმ უამბო ფიშანგის გონებამახვილობა, ყოჩალობა, და ისინიც გაკვირვებით შესკეროდენ ამ იშვიათ და კევიან აქლემს.

სოფლის დედაკაცებმაც თავის მხრივ ფიშანგს უფეშაშეს ფერადი ფუნჯები ყელზე შესაბმელად.

ჰაჯი ფიშანგის წყალობით თავის დანაპირები პირნათ-  
ლად შეასრულა — ჩააბარა საქონელი პატრიონს და ჯალფოდ  
მიიღო თქრის საათი, რომელზედაც ამოკრილი იყო სახე-  
ლოვან ფიშანგის ძეირფასი სურათი.

ბალონც-მარჯან.





## პატარას

ემო კარგო! ხედავ იმ მთას  
და ველს, იმ ბარს, ქალაქ-სოფელს;  
სიხარულით მომღიმარეს  
მუშებს, გლეხებს — განუყოფელს?  
ხედავ ვარსკლავს მოკიაფეს,  
მთვარეს, — ოოგორ გადმომდვარა?!.  
თუ — არ იცი ის ქვეყანა  
საზეიმოდ რად ამდგარა?!


შენ არ გახსოვს! ჩვენთვის გუშინ  
მწარ-ცხოვრების საჩუქარი  
იყო მხოლოდ მოთქმა — ვიში,  
გრიალებდა გლოვის ზარი!  
გუშინ იყო ირგვლივ ბნელი,  
გაპკიოდა ქარაშოტი,  
ტკბილ ოცნება ქარს მიჰქონდა,  
ემსხვერეოდა ტოტზე — ტოტი.

ცრემლი, მხოლოდ ცრემლი იყო  
ჩვენი ჯილდო — სამკაული,  
მაგრამ დახე: ძველ სამყაროს  
მოევლინა სასწაული!  
ძირს დაემხო ტახტი კერპის,  
ჩვენ მეჯლისი განვააზლეთ,  
ქოხმახები გავადიდეთ,  
სიყვარულის სრა — სასახლეთ.

დღე და ღამე ცხელ ქურასთან  
 შრომის ოფლით გაღვარული  
 ვსჭედავთ, ვსჭედავთ მომავალსა...  
 უსაზღვროა სიხარული!  
 ასე ვიბრძვით, ასე ვომობთ,  
 ვანადგურებთ მტერთი ჯარებს!  
 შრომის ქვეყნად, ყველა ერთდღ,  
 თანაბარად გაიხარებს!

წინ ვისწრაფით, წინ მივიწევთ,  
 რომ სიმართლე დავამყაროთ,  
 და სიცოცხლე გადაიქცეს  
 სიცვარულის ნანატრ წყაროთ!!

3. ოდიშელი.



# ბარიგადებზე

სცენა ერთ მოქმედებად (ი. ბელოშვილიდან).

მოქმედი პირი:

კაპიტანი  
 ოფიცერი  
 ჯარისკაცი  
 ბავში 13-14 წლის  
 მოხუცი კომუნარი  
 ქალი

მოქმედება სწარმოებს პარიზში, 1871 წლის კომუნის დროს.

სცენა წარმოადგენს უბრალოდ მორთულ ოთახს: საწერი მაგიდაა, რამდენიმე სკამი. სცენის პირდაპირ და მარცხნივ კარებია. მაგიდასთან კაპიტანი ზის და გვერდით რამდენიმე ოფიცერი ჰყავს. შესავალ კარებთან (სცენის პირდაპირ) და-რაჯები დგანან.

## გამოსვლა I.

(შემთხვის ოფიცერი და კაპიტანის შიმართავს.)

**ოფიცერი.** მაქს პატივი მოგახსენოთ, რომ სან-ლუის ქუჩაზე ბარიკადებთან თუთხმეტი კაცი დავაპატიმრეთ. რას მიბრძანებთ, როგორ მოვიქცე! ჩვენება ხომ არ ჩამოვართვა? კაპიტანი. რის ჩვენება! რა დროს ჩვენების ჩამორთმევაა! დახვრიტეთ ყველანი! საღამოს მოედანი უნდა დაფიკავოთ. იქ მეამბოხე კომუნარები ჩასაფრებულან.

**ოფიცერი.** გისმენთ! ყველაფერი იქნება ასრულებული!  
 (მიღის)

## გამოსვლა II.

**კაპიტანი.** (შიმართავს ოფიცერს, რომელიც მის მარჯვენაზე ზის) გამიგონეთ: საღამოს ყველა ჯარისკაცები უნდა შეგროვდენ.

მიეცით ყველას საქმაო ვაზნები. გათორკეც აქაური სადა-  
რაჯოები (პაუზა). ჩვენს ნაწილებში დანაკლისი ღიღია?

**მე-2-ე ოფიცერი.** მოკლულია ერთი და დაჭრილია ორ-  
შეტი; მათ შორის სამი მძმედაა დაჭრილი.

კაპიტანი. ძვირად დაგვიჯდა მტრის დამარცხება.

**მე-2-ე ოფიცერი.** გავბედავ მოგაგონოთ, კაპიტანო, რომ  
თქვენ გუშინდელს აქეთ საჭელს არ მიყარებიხართ. ჩვენ  
შრაბილან ცხელი საჭმელი გამოგვიგზავნეს.

კაპიტანი. ჰო, მართალია. დანაყრება საჭირო არის, რად-  
გან კიდევ ბეჭრი სამუშაო მოგველის. (ოფიცერებს) წავიდეთ,  
ბატონებო! მე მცირეოდენი ღვინოც მოვიმარავე.

(ამ დროს შემოდის ორი ჯარისკაცი, რომლებსაც პა-  
ტარა ბიჭი შემოჰყავთ, 13-14 წლის.)

### გ ა მ ო ს გ ლ ა III.

ერთი ჯარისკაცთაგანი. ეს ერთიც ბარიკადიდან მო-  
ვიყენეთ, ბატონო კაპიტანო!

კაპიტანი. არაფერია, მანდ მოიცადე! წავიდეთ, ბატონე-  
ბო, სადილის საჭმელად! (გადის მეორე თახმი).

### გ ა მ ო ს გ ლ ა IV.

(ჯარისკაცები გძელ სკაშზე სხდებიან, ბავშიც მათ გვერდით ჭდება)

**1-ლი ჯარისკაცი.** ვანო, გაიგონე! ჩვენ კიდევ ბრძოლა  
მოგველის: მოედანზე ბარიკადები უნდა ავიღოთ. მეშინია,  
შეიძლება იქ საკუთარ ძმისწულს შევხვდე: ის ხელალებული  
კომუნარია.

**მე-2-ე ჯარისკაცი.** მერე რა გინდა, უნდა ესროლო?

1 ჯარისკაცი. მართალი გითხრა, არ ვიცი... (დაფიქრდება.  
პაუზა. ბავშის მიმართავს.) შენ კი, ბიჭიკუნავ, როგორ მოხვდი  
ბარიკადებზე?

ბავში. მამასთან ვიყავი: ის თავისუფლებას იცავდა.

**მე-2-ე ჯარისკაცი.** ვინ არის შემაშენი?

**ბაგში.** სან-გალის ქარხნის მუშაა. ჩვენ იქვე ვცხოვრობთ,  
შესახვევში, ბარიკადების მახლობლად.

**მე-2-ე ჯარისკაცი.** შენც მეტმოხეებს აჲყევი? მერე იცი  
კი, ამ საქმისათვის რა დღეს მოგელის?

**ბაგში.** ჩვენ ისე ღარიბად ვცხოვრობდით, რომ სულ-  
ერთია, როგორც არ უნდა დასრულდეს ჩვენი სიცოცხლე...  
ავადმყოფი დედა, ორი პატარა და... ხშირად მშივრები ვი-  
ყავით. ახ, როგორ მენატრება მათი დანახვა!..

### გ ა მ ო ს გ ლ ა V.

(კიდევ შემდის თრი ჯარისკაცი და მთხუცი შემოჭეავთ. ამ დროს  
კაპიტანი და თვითწრები სადილობიდან ბრუნვებიან)

**ჯარისკაცი.** ესეც ბარიკადებილან წამოვიყვანეთ.

**კაპიტანი.** აი, ბატონებო, სადილსაც უქმად არ გაუვლია;  
კიდევ ერთი ფრინველი დაფიქრეთ. ტყუილად კი არ ვაწუ-  
ხებთ ჩვენს ოცეულებს. (მოხუცს) საიდანა ხარ?

**მოხუცი.** ბარიკადილან... მეც წითელ რაზმებში ჩავდექი...

**კაპიტანი.** (აწევეტინებს) კმარა! გეყოფა! ჩვენ ეგ სიძლერა  
გაგვიგონა. (ჯარისკაცებს) ეგეც იქ წაიყვანეთ, სადაც სხვები  
მიგყავდათ.

(მოხუცი ჯარისკაცებს მიჭეავთ)

**მოხუცი** (წასელისას) გაუმარჯოს თავისუფლებას!..

### გ ა მ ო ს გ ლ ა VI.

**კაპიტანი.** (ბაგში) შენ კი, შე ჭინკა, როგორლა მოხვდი  
ბადეში?

**ბაგში.** მამასთან ვიყავი ბარიკადებზე.

**კაპიტანი.** ვინ არი მამაშენი?

**ბაგში.** მუშა.

**კაპიტანი.** შენ იცოდი, სად მიდიოდი და ან ამისათვის  
რა ბედი მოგელის?

**ბაგში.** მამაჩემი მეუბნებოდა და მეც მას დავუჯერე. ის



პატიოსანი აღამიანია; მთელ თავის სიცოცხლეში შრომობდა და ჩვენ გვინახავდა,—მე, დედას და ორ პატარა დას... ოს, როგორ მინდა მათი დანახვა! მომეცით ნება, კაპიტანო, რო დედას გამოვეთხოვო; ჩვენი სახლი სულ ახლოსაა... მე ვიცი, რომ მამა დალუბულია; მეც აღარ ვიქნები. მათ უკანასკნელი ნუგეში ეკარგებათ. ავადმყოფი დედა ვერ აიტანს უბედურებას, პატარა დებიც დაიღუპებიან. ნება მომეცი, კაპიტანო, ვნახო ისინი. ნახევარ საათში მე ისევ დავბრუნდები.

კაპიტანი. ეს ბავში მართლაც ყოჩალი ყოფილა. მან ჩემი მოტყუებაც კი განიზრახა. (ბავში) მერე, შენ ვინ დაგიჯერებს, რომ შენი ნებით დაბრუნდები დასახვრეტად? შენ ხომ კარგად იცი, რა დღეც მოგელის?

ბავში. ვიცი—სიკვდილი, მაგრამ პატიოსან სიტყვას ვიძლევი...

კაპიტანი. ეს ბავში მართლაც იშვიათია. (ბავში) მაშ, წალი და სწორედ ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდი.

ბავში. გმადლობთ, კაპიტანო! (გადის)

### გ ა მ თ ს ვ ლ ა VII.

1-ლი ოფიცერი. თქვენ, კაპიტანო, მაინც მეტად გულუბრყვილო ხართ. თოფის კონდახ ჭვეშ კაცის გაშვები და ცდა, როდის დაბრუნდება, სხვა რომ არა იყოს რა, უცნაურია!

მე-2-ე ოფიცერი. ნახეს რეგვენი. ახლა იძაე, რას უძახდენ!

კაპიტანი. ვე გამაცვიფრა მისხა გამბედაობამ.

1 ოფიცერი. გამბედავი გახდები, როკა სიკვდილი კარს მოვადება.

(მიდის შეფრე თახაში და მიღაპარა გაბი: „მოვიცადთ ნახევარ საათს; გნახოთ, რა იქნება“...)

### გ ა მ თ ს ვ ლ ა VIII.

(რჩებიან მხოლოდ ჯარისგაცები)

1-ლი ჯარისკაცი. როგორ ფიქრობ, ბავში დაბრუნდება? მე-2-ე ჯარისკაცი. დაბრუნდება... რაკი ის მამას ბარიკადზე წაჰყვა,—სჩანს, სიკვდილის არ ეშინია!

1-ლი ჯარისკაცი. მე კი ვფიქრობ, რომ გაიპარება.

მე-2-ე ჯარისკაცი. შენ უნდა გენახა, თუ როგორ იცემ-როდენ ისინი, რომელიც წელან დახვრიტეს. არც ერთ მათგანს კრინტი არ დაუძრავს პატივის შესახებ. ერთი რომელილაც თავხედი ბავში ჯარისკაცებს უყვიროდა: „ჩქარა დაგხვრიტეთ, რაღას უცდითო!“

1-ლი ჯარისკაცი. მაინც საინტერესოა ვიცოდეთ, რა გამოვა ყველა ამისაგან? ვნახოთ... დალლილი ვარ და ერთ წუთს მივწვები. (გძელ სკამზე წამოწვევის)

მე-2-ე ჯარისკაცი. მე მინდა დედის წერილი გავუგზავნო. როგორლაც გული მიშფოთავს... ამაღამ დიდი საქმე მოგველის. ამბობენ, მოედანზე ბევრი კომუნარი მოგროვდა და ბარიკადებზე კარგად არიან გამაგრებულია... (მაგიდასთან ზის და სწერს)

### გ ა მ თ ს ვ ლ ა IX.

(შემთვარდება ქალი. თვალებში შიში და აღმოფთება ეხატება)

ქალი. ალყაში ძალით შემოვიტერ. ჩემთვის თოფის სროლა უნდოდათ... სად არის კაპიტანი? (კაპიტანი და თვეიცრები შეორე თახიდან შემოდიან)

კაპიტანი. ეს რა ხმაურობა? (უწენებენ ქალზე) ამას რა უნდა?

1-ლი ჯარისკაცი. ის ალყაში შემოიჭრა,—თქვენ გკითხულობთ.

ქალი. (კაპიტანის წინ იჩქების) ჩემი ქმარი ბარიკადებზე დაიკირეს. ის დამნაშავე არაა. მე მის შესახებ სათხოვრად მოვედრი; ან მეც იმასთან ერთად დამხვრიტეთ..

კაპიტანი. ახლა გვიანლაა. ვინც ბარიკადიდან წამოვიყვანეთ, უკვე აღარ არიან.

ქალი. როგორ? უკვე დახვრეტილია? (გულშემოურიდან ეცემა)

კაპიტანი (ჭარისკაცებს) გაიყვანეთ ეგ აქედან. (ჭარისკა-  
ცებს ქალი ხელით გატევათ. მაღვე უკანვე ბრუნდებიან.)

1 ოფიცერი. ბავში ჯერ კიდევ არ მოდის.

კაპიტანი. მაგრამ ჯერ ვადა არ გასვლია. მას შეუძლია  
რამდენიმე წუთიც დაიგვიანოს. (კარგბიძან ისმის ხმაურობა.)

### გ ა მ თ ს გ ლ ა XI.

(შემოდის ბავში)

ბავში. მე პატიოსანი სიტყვა შევასრულე, — მოვედი.  
ახლა შევიძლიათ მესროლოთ!..

(ეგელა განცვიფრებულა.)

კაპიტანი (აფიცერებს) აი, პატონებო, ოქვენ ტყუილად  
დამტინდით და არ მიჯეროდით. ვთქვათ, მე შემცთარი ვი-  
ყავი, რომ ბავში გავუშვი, მაგრამ როცა ის მზადა თავის  
ამხანაგების საქმეს სიცოცხლე შესწიროს, ეს შეიძლება ჩვენ-  
თვის მაგალითი იყოს, მისაბაძი მაგალითი. (ბავში) წადი შინი-  
საკენ. მე ვაუქმებ შენს დახვრეტას.

### ფ ა რ დ ა.

ბიბონ წეველი.



## ბორის ძელაძე

აშხ. ბორის ძელაძე დაიბადა 19 მარტი 1860 წ. ქ.

გორში. სამი წლის შემდეგ

ბორის მშობლები გადმო-  
ვიდენ ხაშურში. 1905

წელს დაიწყო მუშათა გა-  
მოსვლები. ბორის მშობ-

ლები ესწრებოდენ განმთა-  
ვისუფლებელ კრებებს და

თან ბორისიც დაჰყავდათ.

ორატორების ლაპარაკს და

კამათს ეს პატარა ბავ-

შიც ისმენდა. კრებებზე

ხშირად სტუმრობამ და

ორატორების სიტყვებმა

ბავშვი შთანერგა ერთ-

გვარი მისწრაფება და სი-

ყვარელი „ორატორები-

საღმი“. როგორც გადმო-

გვცემს ბორის ძმა, ვ. ძე-

ლაძე. თურქებ ბორის, კრე-

ბიდან დაბრუნების შემ-

დეგ, იმდენად იტაცებდა



ბორის ძელაძე ბავშობაში.

„ორატორობა“, რომ ის მოაგროვებდა თავის ირგვლივ ტოლ-ამხანაგებს, შეხტებოდა სკამზე და დაცწყებდა იმ ორა-ტორების მიბაძვას, რომელთაც მოუსმინა. ბორის ეს „ორა-ტორობა“ ერთ მთავარ გასართობ საგნად გადაექცა. ის თავის ტოლ ამხანაგებში ცნობილი იყო, როგორც პატარა ორა-ტორი. გარდა იმისა, რომ ბორის კრებაზე დაჰყავდათ, თვით მის მშობლებ-ნათესავების ოჯახში ხშირად იმართებოდა კა-  
მათი, ლაპარაკი იმ დროის საჭიროობრივ კითხვებზე, რასაც  
ბავში უკველთვის ყურადღებით და გულდასმით ისცენდა.



იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ბორიძი ტოლამხანა-გებთან თამაშს თავი დაანგრძა და კამათს ყურს უგდებდა. ბავშვს თავიდანვე ეტყობოდა, რომ შემდგომ ის უნდა გამხდარიყო ნამდვილი ორატორი და დიდი საზოგადო მოღვაწე. პირველ-დაწყებითი სწავლა მას მიაღებინა მისმა დამ, შემდეგ კი განაგრძობდა სწავლას ხაშურის გიმნაზიაში. ბორიძის მამის ავალმყოფობის გამო მოელი რჯახი გადასახლდა გურიაში, სოფ. ბურნათში — ახლანდელ კოხნარში. აქ ბორიძის მამა გარდაეცვალა. ბორიძი და უფროსი ძმა დარჩენ სოფელში საცხოვრებლად. ბორიძისა სოფელში მასწავლებელთან დაიწყო შხალება სასწავლებელში შესასვლელად. მასწავლებელი სცხოვრობდა ჩოხატაურში — ექვი ვერსის მანძილზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის არ სტოვებდა არც ერთ დღეს.

როდესაც ბორიძის 12 წელი შეუსრულდა, მისი მშობლები გადმოსახლდენ სურამში, საღაც მეცადინეობა შეუძლებელი შეიქმნა. მაგრამ ბორიძის მეცადინეობისათვის თავი არ დაუნებებია; ის მეტად გაიტაცა ქართულმა ლიტერატურამ; გაეცნო ყველა თვალსაჩინო ქართველი მწერლების შემოქმედებას, და უკვე თავისი საკუთარი შეხედულებაც შეუმუშავდა. სურამში დელის გარდაცვალების გამო ბორიძი დაბრუნდა გურიაში. გურიაში ბორიძისა უფრო გულმოლგინედ იწყო მეცადინეობა, ხელი მოჰკიდა თვითგანვითარებას. მან დაარსა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც გურიის სხვადასხვა კუთხეში წარმოდგენებს მართავდა. 1914 წ. ბორიძი ძმაშ ტფილისში ჩიმილი ყვანა სასწავლებლად. 1915 წლის განმავლობაში არ სწავლობდა; როდესაც ის ჩიმოვიდა, სასწავლო წელი უკვე დაწყებული იყო. ბორიძის აც წელს განსაკუთრებით შეუყვარდა ცირკი, ანიტერესებდა ჭიდაობა, დაღიოდა ტანკარჯიშობის და მსროლელთა ჯგუფებში და შეისწავლა სამხედრო საქმე. ამავე წელს ბორიძის ძლიერდება ინტერესი საზოგადოებრივი საკითხებისადმი. გაზეთების კითხვა იმაზე დიდ გავლენას ახდენდა. ის ბშირად იძლევდა გონივრულ კითხვებს თავის ძმას და განმარტებას მოითხოვდა. მოკლე ხნის განმავლობაში ბორიძის ბევრი რამ შეითვისა გაზეთების კითხვით და უკვე



თავისებური, დამოუკიდებელი აზრიც შეუმუშავდა საზოგადოებრივი საკითხების შესახებ. ბორის თავისმა ძმამ ვ-მ მიაბარა კერძო მასწავლებელს. გამოცდების მოახლოვების დროს მასწავლებელი ვერ იძლეოდა დაფებით პასუხს ბორისს მიღების შესახებ, მოკლე ხნის მზადების გამო, მაგრამ ბორისი სეთი ენერგიით და თავგამოდებით შეუდგა მზადებას, რომ ვინოგრადოვის ტეხნიკურ სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები როგორც პირველმა მოწაფემ. 1917 წელს, როცა რუსეთში გადატრიალება მოხდა და დაემხო ნიკოლოზ მე-II-ის ტახტი, ტფილისში ხშირად იმართებოდა ჯარისეუცების და მუშების მიტინგები. ბორისი არ შორდებოდა თავის ვზას, აინტერესებდა მიტინგები და ყოველთვის ესწრებოდა. 1917 წლიდან ბორისი უკვე იწყებს მონაწილეობის მიღებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1917 წელს საქართველოში გაბატონდა მენშევიკების მთავრობა. ბორისი კარგად ხდედავდა, რომ მენშევიკების მთავრობამ ვერ შესძლო მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა, ის კარგად ხდავდა, რომ მიწები, ქარხნები და სხვა სიმდიდრე ისევ მდიდრების ხელში იყო... ბორისმა დაიწყო მზადება და მუშაობა მუშების შვილებთან ქ. ტფილისში, რომ დახმარებოდენ თავის მამებს და დედებს კომუნისტური დროშის აფრიალებაში. ამხ. ბორიამ, თავისი ამხანაგ ამასთან ერთად ამ წელს მოუყარა თავი მუშების ახალგაზრდობას ერთ საერთო ცენტრში, ორგანიზაციაში, „სპარტაკის“ სახელწოდებით. ახალგაზრდა მუშებს ბორია ასწავლის, აცნობს მენშევიკების მოლვაწეობას და მოუწოდებს მათ კომუნიზმისაკენ.

როცა „სპარტაკის“ ორგანიზაცია გაიზარდა, მუშაობა ახალგაზრდობაში შედევ ახალგ. კომკავშირი უწოდა მას.

ბორისი ყოველივეს ანებებს თავს და განაგრძობს მხოლოდ ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირში მუშაობას. მას დიდიწყებული ჰქონდა თავისი „მე“; თავისი ენერგიული მუშაობით მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა მთელ. ამიერ ჭავჭავა. მუშებში. მაგრამ ბორისის ასეთ მოლვაწეობას მოჰყვა სამწუხარო და საზარელი ამები: ბორისი დატუსალეს და საზღვარგარეთ გადასახლეს.

1921 წელს, როცა ბორის დიდი ხნის ნანატრი ასრულდა, საქართველოს მუშები რუსეთის მუშებთან ერთად შეებრძოლენ მენშევიკებს, ბორისი პირველ რიგში იბრძოდა. მუშებმა დამხეს მენშევიკების ბატონობა და დამყარდა მათი ხელისუფლება — საქართველოს სათავეში ჩაუდგა საბჭოთა მთავრობა.

1921 წელს ბორისი ითვლება ახალგ. კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნიდ. ბორისი უკვე იწყებს გაცხოველებულ მუშაობას მთელი მუშათა და ღარიბ გლეხობის ახალგაზრდათა კომკავშირში გაერთიანებისათვის.

1922 წელს ბორისი დაინიშნა სამხედრო სკოლის სამხედრო კომისრად. მენშევიკების მიერ დევნამ და ციხეებში ჯდობამ ბორისი დაავადმყოფა, მაგრამ მაინც არ დაანება თავი მუშების და გლეხების საქმისათვის მუშაობას. ასეთმა დაუცხრო-მელმა მუშაობამ მისი ავადმყოფობა გააძლიერა და ბორი-ვარდაიცვალა ა/წ. 5 აგვისტოს.

მაგრამ არა, არ კვდება ის, ვინც იბრძვის საზოგადოების კეთილდოებისათვის! ბორისის მოლვაწეობა, ბორისის საქმიანი მოქმედება ოქროს ასოებით დაწერა მუშათა ახალგაზრდობის ისტორიის ფურცლებზე. ასევე ბავშების ისტორიაში ბორისი მოსჩანს იმ ლამპრის სახით, რომელიც უნათებს ცხოვრების წინსვლის გზას ჩენს ნორჩ, მოზარდ თაობას. <sup>1)</sup>

ალ. მდივანი.



<sup>1)</sup> ბიოგრაფიის პირველი ნაწილი ნაკარნახევია ბორი-სის ძმის მიერ.



ახალგაზრდათა კომუნის-  
 ტურ კავშირის მექანიკურის  
 თავი საქართველოში.

ყველა ქვეყანაში არსებობს ძლიერი კომუნისტური პარტია (ბოლშევიკური), რომელიც იცავს მუშათა კლასს და მისი ინტერესებისათვის ებრძვის ყველა სახელმწიფოში კაპიტალისტებს. (მექარხნე — მემამულეებს).

კომუნისტური პარტია დევნილია ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში: კომუნისტებს აპატიმრებენ, აძვებენ, ხერებენ, მაგრამ პარტია მაინც მედგრად სდგას რევოლუციის საღარაჯობე, იბრძვის, ააშკარავებს ბურჟუაზიულ მთავრობის და სხვა პარტიების ნამდვილ სულისკვეთებას და მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ამხანაგები ასობით და ათასობით ნაწამები და დახოცილია, პარტია დღითი-დღე იზრდება როგორც რიცხვით, ისე ლირსებით.

მუშათა შეგნებული ნაწილი, რომელსაც დღემდე სწამდა და ენდობოდა სოციალისტ-რევოლუციონერებს, სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) და სხვა ბურჟუაზიულ პარტიებს, ახლა მასიურად გადაღის კომუნისტურ პარტიაში და დგება ბრძოლის წითელი ღროშის ქვეშ.

სულ სხვა მდგომარეობაშია საქმე სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, ე. ი. რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსიაში და ამიერ-კავკასიაში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). აქ მუშებმა და გლეხებმა დასცეს ბურჟუაზიული ხელისუფლება (კაპიტალისტების და მემამულეების), ჩამოართვეს მათ მშრომელებისათვის მიწა-ქარხნები და ოვითონ განა-

გებენ თავიანთ საქმეს მუშა-გლეცების და წითელარმიელების დეპუტატთა საბჭოს საშუალებით.

მაგრამ, ოოგორუც კაპიტალისტურ სახელმწიფოში, ისე საბჭოთა რესპუბლიკებში, მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებამდე კომუნისტურ პარტიას წინ უდევს კიდევ გრძელი, ეკლიანი გზა, დიდი მუშაობა, სასტიკი ბრძოლა და მრავალი მსხვერპლი, ერთი სიტყვით, ბევრი განსაკუდელი და ცხოვრების სიღუბეშირი.

აქედან აშეარაა. რომ კომუნისტური პარტია განუწყვეტლად უნდა იზრდებოდეს და მაგრდებოდეს. ეს კარგად გაიგო ყველა ქვეყნის შევნებულმა და პატიოსანმა ახალგაზრდობამ, განსაკუთხებით მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობამ, რომელიც ისტრაფვის ორგანიზაციულად შეკავშირდეს, დაქმართს მუშა და შესცვალოს ის მის მძიმე ბრძოლაში, როდესაც ამას მოითხოვს საჭიროება.

საერთაშორისო ახალგაზრდათა მოძრაობას აქვს თავისი დიდი ისტორია. ახალგაზრდათა პირველი ორგანიზაცია დაარსდა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში ყველა დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვენ უკვე ვხედავთ ახალგაზრდათა სოციალისტურ კავშირებს.

საერთაშორისო ახალგაზრდების სოციალისტურ კავშირთა პირველი ყრილობა შესდგა 1907 წელს, კარლ ლიბკნექტის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაისწრო ყველა ქვეყნის წარმომადგენელი და სადაც ჩაეყარა საფუძველი ახალგაზრდათა ინტერნაციონალს (საერთაშორისო გაერთიანება).

ახალგაზრდობა თავის ძირითად ამოცანად სთვლიდა მუშებთან ერთად კაპიტალისტების და ომის წინააღმდეგ ბრძოლას, მცირეწლოვანთა შრომის დაცვას (6 საათის სამუშაო დღე) და ახალგაზრდობის სოციალისტურიდ აღზრდას.

1914 წელს, ომმარომ იფეთქა, ბევრმა სოციალისტმა, განსაკუთრებით მენშევიკებმა, ომში მხარი დაუჭირა ბურжуაზიულ მთავრობას. ამის გამო ახალგაზრდათა ინტერნაციონალმა გვერდი აუქცია ძეველ სოციალისტ-ბელადებს, რეგმხრო სოციალისტთა მარცხენა ფრთას, დაადგა რევოლუციონურ



გზას, მხარში ამოუღა კომუნისტურ პარტიას და გამოუცხადა ომი ომს.

ახალგაზრდობა მხურვალე მონაწილეობას იღებდა რუსეთის მუშა-გლეხების ოკულიუმიონურ მოძრაობაშიც.

მუშებთან ერთად ყოველთვის პირველ რაგში იბრძოდა სტუდენტობა, მოწაფეობა და ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავე ახალგაზრდობა, მაგრამ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის დამოუკიდებელი ორგანიზაციები საბოლოოდ ჩამოყალიბდა მხოლოდ ოქბერვლის რევოლუციის შემდეგ და პირველად დაარსდა მოსკოვში, ლენინგრადში, ურალზე და დონის ოლქში. სწორედ რევოლუციის და სამოქალაქო ომის შედეგია ეს ახალგაზრდათა ორგანიზაცია. მათ ეზიზლებათ შეთანხმების მოყვაბრული პარტიები, შეუერთდენ კომუნისტურ პარტიას და შეითვისეს ამ პარტიის ბრძოლის მეთოდები, პოზიცია და ტაქტიკა.

1918 წლს შესდგა სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კავშირის პირველი ყრილობა, სადაც დაარსდა რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი. ამ დღიდან კავშირი იღებს აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციისათვის მუშათა კლასის ბრძოლაში; ის ესმარება კომუნისტურ პარტიას, როგორც მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველს, კომუნიზმის იდეის ვავრცელებასა და ახალი ცხოვრების შექმნაში.

1919 წლიდან რუსეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი შედის საერთაშორისო ახალგაზრდათა სოციალისტურ გაერთიანებაში ე. წ. ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალში, სადაც ამ უამად აქტიურ მონაწილეობას იღებს.

საქართველო თავის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობით არ ჩამორჩება სხვა რევოლუციონურ და კულტურულ ქვეყნებს. პირიქით, საქართველოში თებერვლის რევოლუციამდეც არსებობდა ახალგაზრდათა რევოლუციონური წრეები: ტფილისში, ქუთაისში, ხონში და სხვაგან, საიდანაც შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ და კომუნისტურმა კავშირმა მიიღო ბევრი კარგი და სინდისიერი მუშავი.

საქართველოში თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაჩაღ-  
და ბრძოლა და მუშაობა მუშარ-გლეხურ ახალგაზრდობისა.  
ახალგაზრდათა კავშირი საქართველოში არის ოქტომბრის რე-  
ვოლუციის ღვიძლი შეილი, ომელიც დაიბა და, გაიზარდა  
და გამავრდა ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალსა და  
გამარჯვებებში.

ამ ექვები წლის შინ, 1917 წლის 20 ნოემბერს, მუშათა



ს. ა. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.  
მარკენიდან მარჯვნივ: ამს. ამს. ლ. ლომიძე, გ. გოგეშვილი, გ. დაბახველიძე,  
გ. დევდათიძე და გ. გაგრიშვილი.

შებრძოლნი—ბორის ძნელაძე და იონიძი, რომელნიც თქვენ უნდა გახსოვდეთ და პატივს სცემდეთ.

ექვსი წლის წინეთ „სპარტაკი“ წარმოადგენდა პატარა წეს, დღეს კი, მეექვსე წლის თავზე—ახალგაზრდათი კომუნისტური კავშირი აერთიანებს საქართველოს მუშა—გლობების ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს, 17000 ახალგაზრდას. ამ ეამად საქართველოს ახალგაზრდათი კომუნისტური კავშირი წარმოადგენს ახალგაზრდათი კომუნისტურ ინტერნაციონალის სერიოზულ რაზეს, საერთაშორისო რევოლუციის ერთ-ერთ საყურადღებო ფაქტორს. პარტია გამარჯვებული გამოვიდა ყველა განსაკუდელიდან და მძიმე მდგომარეობიდან, რომელნიც ელობებოდენ მას მუშურ-გლობურ ხელისუფლების შექმნის გზაზე და ამაში დიდი სამსახური მიუძღვის ახალგაზრდათი კავშირს, რომელიც თვალყურს ადგვნებდა პარტიას და ირაზმებოდა ოქუმბრის რევოლუციის მოთხოვნილების თნახმად.

საქართველოში ამ ექვსი წლის განმავლობაში არ ყოფილი ისეთი კომპანია, ამოცანა, კითხვა, რომელიც მდგარიყო ჩვენი პარტიის წესრიგში და არ გამოეშვიოს ახალგაზრდათი კომუნისტური პარტიის თანავრძნობა და მხურვალე მონაწილეობა.

ახალგაზრდათი კომუნისტური კავშირი შეუბრალებლად აკრიტიკებს ბურჟუაზიას, მონაწილეობს კაპიტალისტურ წესწყობილების დანგრევაში, აცხოველებს ახალგაზრდათი გონებაში კლასიურ სიძულვილს ექსპლოატატორთა მიმართ, აერთიანებს და აკავშირებს ახალგაზრდობას, აწყობს კომუნისტურ იდეების ვასივრცელებელ წრეებს, იძენს საიდუმლო სტამბებს არალეგალურ კომუნისტურ ლიტერატურის დასაბეჭდად, ეხმარება გაფიცევების და მასიურ დემონსტრაციების მოწყობასა და ჩატარებაში, ბოლოს დახმარებას გვიწევს აჯანყების დროს, თვითონ დებულობს აქტიურ მონაწილეობას, ბევრი მსხვერპლი მოაქვს შეიარაღებულ გამოსვლების დროს; ბევრი დევნა, დაპატიმრება, გაძვევა, ხვდა წილად ჩვენს კომუნისტურ რევოლუციონურ ახალგაზრდობას, მაგრამ ის უშიშრად მიიღოტვის წინ და ეხმარება საქართველოს კომუნისტურ პარტიას მენშე-

ვიკურ მთაცრობის დამარცხებასა და მუშა-გლეხებზე ხელის-  
უფლების გადაცემაში.

ახლაც, გამარჯვების შემდეგ, ახალგაზრდათა კომუნი-  
სტური კავშირი ისე აწყობს თავის ორგანიზაციას, მუშაობას,



საქართველოს ხალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის  
კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გაიოზ  
დევდარიანი.

(ამხ. გაიოზ დევდარიანმა სთევა საქართველოში პირველი სიტყვა  
ბაეშთა კომუნისტურ მოძრაობის შესახებ).

რომ ყოველ წამს შეეძლოს დახმარება გაუშიოს კომუნისტურ  
პარტიის ძნელ საქმეში, მძიმე და გრძელ გზაზე საერთაშორისო  
კომუნისტურ რევოლუციისაკენ.



ამასთანავე ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი თვალყურს აღევნებს თავის წევრების კულტურულ განვითარებას. მან იცის, რომ ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს, უნდა მიიღოს შეტი ცოდნა. მას აქვს თავის წევრებისათვის წრეები და უჯრედები, მარქსიზმის (მარქსი — დიდი ნასწავლი რევოლუციონერი, რომელმაც შექმნა მეცნიერული სოციალიზმი) და ლენინიზმის შესასწავლად. (ლენინი — საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშეროლი, რომელმაც შექმნა საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური ინტერნაციონალი და განახორციელა ის, რასაც მარქსი გვასწავლიდა).


გარდა ამისა, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი ებრძების ცრუშმარქმუნებას, ახალი ზე-ჩვეულების და მუშათა და გლეხთა კავშირის შესაქმნელად.

საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტური კავშირი ეხმარება საბჭოთა ხელისუფლებას ბავშთა მოსახლეობის სოციალურად აღზრდაში. კავშირის დახმარებით ჩვენ შევქმენით სპარატიკი, რომელიც შეიცავს ბავშთა საკუთხევლი ნაწილს და ამზადებს მას კომუნისტურ კავშირისათვის. ამ მუშაობას ეწევა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი. მუშაობის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები არიან ამს. გაიოზ დევდარიანი, ლომიძე, დარახველიძე, გავრიში, გოგეშვილი, მეტონიძე და სხვ.

ბავშებო, ოქვენ კარგად უნდა იცოდეთ საქართველოს, რუსეთის და უკრაინის კომუნისტურ კავშირის ისტორია, თვალყურს უნდა აღევნებდეთ მათ უურნალ-გაზეთებს და საზოგადოდ ყველა გამოცემებს.

საქართველოში გამოდის ქართულ ენაზე „მომავალი“, რუსულ ენაზე „კრისნიი ვსხვდი“, გამოდის აკრეთვე გაზეთები. იყითხეთ ყველა ეს უურნალ-გაზეთები, შეიწავლეთ მარქსიზმი და ლენინიზმი, განვითარდით და შეთანხმებულ რიგებით შეუერთდით ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს, დაეხმარეთ შშრომელთ — კაპიტალისტებზე გამარჯვებასა და მთელ ქვეყნის ერებაზე საბჭოთა რესპუბლიკის დამყარებაში.

მარიამ ორახელაშვილი.



# ბაგჟება



ხოვრება ჩვენსკენ  
 წითელ თითს იშვერ-  
 ამბობს: ის არის  
 ჩემი მემკვიდრე.  
 მოვა დრო, ისიც  
 ხმალსა იშიშვლებს,  
 და ბრძოლას ტვირთად  
 ჩამოიკიდებს!  
 ჩვენი სიმღერა  
 წრფელ იმედს ანთებს,  
 კიდევ ვსოქვათ: მტერი  
 ვერ შევვაშინებს.  
 სალამი ვარუებს,  
 სალამი ვარდებს,  
 სალამი ერთგულ  
 კომუნის შვილებს!

ა მაშაშვილი.





## სკოლების ცხოვრება

ოქტომბრის რევოლუციის ექვნი წლის თავის დღესასწაული მოსწავლეთა შორის.

**ტბილისი.** 7 ნოემბერი. ქალაქი მორთულია. დროშები, გირლანდები და ხალიჩები ამშვენებენ სახლებს და დაწესებულებებს. ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული ტფილისის ყველა ტიპის სასწავლებელში განსაკუთრებული ზეიმათ ჩატარდა. დილით მოსწავლე ახალგაზრდობა იკრიბება თავიანთ სასწავლებლებში. აქედან დარაზმული დროშებით და ინტერნაციონალის მდებრით გამოღიან რუსთაველისა და პლეზანდეს პროცესის; მასთან ერთად მიემართებიან დილუბის მოედანზე— ჰიპოდრომზე. აქ გაიმართა დოლი, ველოსიპედების სირბილში შეჯიბრება და სხვადასხვა ვარჯიშობა.— სალამოს საბავშო სახლებში, სასწავლებლებსა და თეატრებში გაიმართა სალამოები, წარმოდგენები და კონცერტები სარევოლუციო შინაარსის პროგრამით. ქალაქი გაჩირალდნებულია. შუშესუნები ქალაქს კულიანი ვარსკვლავებივით, ევლებიან თავს. საბავშო სახლებში გამართებულებს დაურიგეს საჩუქრები და გაუმართეს სხვადასხვა გასართობი.

**ტფილისის ბრძანა სასწავლებლის ინტერნატი.** შვიდ ნოემბერს, დილით, ბრძანა ბავშები მორთულ-მოკაზმულები გაეშურენ სასალილოში, იმლერეს ინტერნაციონალი. ათ საათზე გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური დილა:



სიმღერა, მუსიკა, ლექსები ერთმენტს ცვლიდა. 12 საათზე დილა ინტერნაციონალის მღრღით დასრულდა. დღე-სასწაულმა დილი შთაბეჭდილება მოახდინა უსინათლო ბავ-შებზე.

**კოჯორი. კოჯორის მე-22 საბავშო ახალშენი.** შენობა მორთულია მწვანე ფოთლებით და რევოლუციის მო-ლვაწეთა სურათებით. 11 საათზე ბავშებმა და ახალშენის თანა-მშრომლებმა პროცესიაში მონიშვილება მიიღეს. მიტინგის შემდეგ, ადგილობრივ როტონდაში საბავშო დილა იქნა მო-წყობილი.

**თბილისი. 6 ნოემბერს, საღამოს, გაიმართა უფასო კონ-ცერტი ადგილობრივი ტენიკუმის შენობაში.** კონცერტში მონაწილეობდენ ტენიკუმის და ცხრაწლედის უფროსი კლასების შევირდები. 7 ნოემბერს გაიმართა დილა ბავშო სახ-ლისათვის და საბავშო ბაღისათვის; დღის ოზ საათზე გაი-მართა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ სხვებ-თან ერთად მასწავლებელნი და მოწაფეები. პროცესია ტენიკუმიდან ბაზრის ქუჩით თავისუფლების მოედანზე გაემართა. აქ მოწაფეთა გუნდმა მრავალჯერ შეასრულა ინტერნაციო-ნალი. საღამოს მოზრდილმა შევირდებმა კონცერტი გამართეს.

**ლეჩეუმის მაზრა. 7 ნოემბერს ტენიკუმისა და ცხრა-წლედის შენობები მორთულია გირლანდებით და მწვანეუ-ლობით.** 12 საათზე მოწაფეთა და მასწავლებელთაგან შემ-დგარი პროცესია გაემართა მთავარ ქუჩებში — მიტინგის ად-გილზე. მოწაფეთა გუნდი მღერის ინტერნაციონალს. საღამოს გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენები.

**გორი. 6/XI.** უფროსი ჯგუფების მოწაფეთათვის გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გააცვნეს მოწაფეებს ოქტომბრის რე-ვოლიუციის მნიშვნელობა.

**7/XI.** მოსწავლე ახალგაზრდობა გამოდის ღროშებით მთა-ვარ ქუჩაზე; აქ უერთდება ხალხს და პროცესია მიემართება თავისუფლების მოედანზე, სადაც იმართება მიტინგი.

**ხენავი.** მაზრის სხვადასხვა თემში გამართულ იქნა მთე-ლი რიგი საღამოების და სადღესასწაულო დიდებისა, დაიდგა



სხვადასხვა პესა რევოლუციონური შინაარსისა. გაიმართა სადღისასწაულო მიტინგები, რომლებზედაც ხალხს აცნობდენ ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობას და მიზნებს, საი-თაც მოუწოდებდენ მშრომელ ხალხებს.

**ბორჯომი.** 7 ნოემბერი. სკოლებში გაიმართა წარმო-დგენები. ადგილობრივი აღმასკომის შენობის წინ შეიკრიბა ყველა მუშა-მოსამსახურები; გაიმართა მიტინგი, რომელ-ზედაც წარმოითქვა სიტყვები ოქტომბრის რევოლუციიაზე. შემდეგ პროცესი გაემართა ოქტომბრის რევოლუციის სახე-ლობის ბალში.

**შორაპანი.** არსებულ სკოლებში გაიმართა კრებები ოქტომბრის რევოლუციის შესახებ. ცენტრებში ტეხნიკურებ-სა და შრომის სკოლის ცხრაწლედებში — წარმოდგენები.

**დუშეთი.** მოწაფები დროშებით ქუჩებში გამოვიდენ ინტერნაციონალის მღერით და უერთდებოდენ მოზრდილთა პროცესის. გაიმართა მიტინგები, საღაც წარმოსთქვეს სიტყვე-ბი საბავშო სახლის, ცხრაწლედის მოწაფეებმა და ახალგაზრდათა კომკავშირის წევრებმა, საღამოს მასწავლებელთა და უფროსი ჯგუფის მოწაფეების მიერ გაიმართა წარმოდგენა, დაიდგა- „როს ნადიმობდენ,“ „ფული და ხარისხი.“ მაზრის სხვადასხვა თემების სკოლებშიაც მოეწყო სადღესასწაულო გამოსვლები და მიტინგები.

**ფოთი.** 7/XI. გაიმართა სალიტერატურო დილა, რომელ-შიაც მხურვალდ მონაწილეობა მიიღო მოსწავლე ახალგაზრ-დობამ და მასწავლებლებმა. წენობები მორთული იყო მწვანეულობით, პლაკატებით, დროშებით და წარწერებით. საბავშო თეატრში გაიმართა საბავშო წარმოდგენა და ბალეტი.


**სამხრეთ ოსეთი.** 7/XI. დღესასწაულში ყველა სასწავ-ლებელმა მიიღო მონაწილეობა. საღამოს პროცესია ჩირალდ-ნებით გაეშურა ცხინვალის მთავარ ქუჩებში. ბოლოს გაიმართა მიტინგი და წარმოდგენა.

**ქუთაისი 7/XI.** შენობები შემკულია სადღესასწაულოდ, მოწაფეები დილით თავიანთ სასწავლებლებში იყრიან თავს. აქ მათ აცნობენ ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობას,

შემდეგ გაემართენ აღლუმში მხურვალე მონაწილეობის მისა-  
ღებად; მაზრებში გაიმართა მიტინგები, რომლებზედაც ხსნიდენ  
დღესასწაულის მნიშვნელობას. გაიმართა სალიტერატურო  
საღამოები—საღლესასწაულო შინაარსით.

**ახალქალაქი.** 7/XI. განათლების მუშაკნი ადგილობრივი  
კომუნისტური პარტიის წარმომადგენელებთან ერთად კრებებ-  
სა და მიტინგებზე უხსნიდენ ხალხს დღესასწაულის მნიშვნე-  
ლობას. აღლუმში მიიღეს მონაწილეობა მოწაფეებმა და მას-  
წავლებლებმა; დასასრულ ბავშებს დაურიგეს ხილი და დადგეს  
უფასო წარმოდგენა.





## ქრომის სუთევა

ხალხური ზღაპარი



უ ერთი ქვრივი დედაკაცი. მას ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი, სახელად გივი.

გივის მამა სოფელში ცველასა-  
გან ცნობილი კაცი იყო: დაუ-  
ლალავი, მშრომელი და პატიოსანი,

მაგრამ სიკვდილმა ადრე უსწრო; დაობლდა გივი. დედამ შავის  
დღით გამოზარდა,—როგორც იყო, დავაუკაცა.

პირველად გრი სხვასთან მოჯამაგირედ იყო. თვითონაც  
თავს იკვებავდა, დედასაც ჯამაგირით არჩენდა. შეძეგ დღი-  
ურ სამუშაოზე დაიარებოდა. ზოგს ვენახში ბარვას ჰშველოდა,  
ზოგს შეყელვას, ზოგს მკაში მისდევდა და ნასამკლევს იღებდა.  
დაუღალივად ებრძოდა ცხოვრებას და ბოლოს რის ვაი ვაგ-  
ლახით იმდენი შეაგროვა, რომ უღელი ხარი და გუთანი  
გაიჩინა.

გივის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა პირვე-  
ლად ნიშა და ნიკორა ურემში შეაბა და შეშის მოსატანად  
წავიდა.

— ახლა კი სიღარიბიდან ამოველ! შეშას მოვიტან; დე-  
დაქემი ზამთარში ზურგით მოტანას აღარ ეწვალებათ!

გივის დედასაც სიხარულისაგან ცრემლები ჩამოსდიოდა.  
გივი ულელი ხარით და პატარა გუთნით ჰქნავდა, სთესავდა  
და მოსავალიც მოსდიოდა.

ერთს წელიწადს ზამთარში სიცივემ და ზაფხულში გვალ-  
ვამ ნათესი მთლად წაახდინა.

გივი დარჩა უსარჩოოდ. თუ რამე გაეყიდებოდა — გაჲყიდა,  
მაგრამ მით იოლად მარც ვერ წავიდენ. შეუა ზამთარში სა-  
კვები შემოაკლდათ. დალონდა გივი; დედასაც გული უწუხდა,  
მაგრამ თავს იმაგრებდა და თავის ვაუს იმედს აძლევდა.

უკანასკნელი თონე ჩააკრეს. გაიარა ერთმა კვირამც. რა  
ჰქნან? ბეღელში აღარაფერია, არც ხორბალი არის სადმე. ან  
ვინ გაუმართავს ხელს? — ყველა გაჭირვებულია!

მაშ შიმშილით უნდა დაიხოცონ? გივის აღარც სამუშაოდ  
ეძახიან, თორებ მარტო პურისთვის ემსახურებოდა და თავის  
დედასაც გაუნაწილებდა.

ბოლოს დედამ უთხრა თავის შვილს:

— შვილო! მოყი, ერთი ხარი დავკლათ, ხორცი ზოგი  
პურზე გადავცვალოთ და დანარჩენიც ჩვენ მოვიხმაროთ და  
ამ ზამთარს როგორმე გადავივლითო!


— მერმე დედილო, გაზაფხულზე ცალი ხარით რო-  
გორლა მოვხნა, ხომ დავიღუბებითო?

— შვილო, გაზაფხულამდე როგორმე მიგახწიოთ და თუ  
სხვა ხარი ვერსად ვიშოვეთ, ან სხვას ვერავის გადავუბით,  
ხარის მაგიერ მე შევებმებიო!

ბევრი იღონა გივიმ, ბევრი იფიქრა და დედას დასთან-  
ხმდა. დაჲკლეს ხარი, ზამთარი გაჭირვებით გადაატარეს. მოვიდა  
გაზაფხული — ხვნის დრო! ბადალი ხარი ვერსად იშოვეს, არც  
ისეთი ვინმე გამოჩნდა, რომ ცალი ხარი ჰყოლოდა და გივის-  
თვის გუთანში გადაება.

პირობისამებრ, ხარიან დედა შეება ულელში და ისე ჰქნავ-  
დენ. ამ დროს ჩამოიარა ხელმწიფემ თავის ამალით და რა  
დაინახა, რომ ულელში დედაკაცი ება, გაოცდა. პირველად  
გაჯავრდა: ეს რა ბარბაროსობა არისო, მაგრამ, როდესაც გა-  
ივო დედა-შვილის გაჭირვება და მათი პირობა, ხმა ვეღარ

ამოილო, მხოლოდ გივის უთხრა: ჩვენ ერთი გარეული ირემი დავიქირეთ; ის ირემი შენთვის მიჩუქებია. გამოქენ, თუ ვაჟ-კაცი ხარ, და დედის მაგიერ შეაბიო. მეფემ აჩუქა გარეული ირემი და გზას გაუდგა, თან ფიქრობდა: თუ იმ ყმაწვილმა კაცმა ის ირემი დაიპორჩილა და უღელში შეაბა, უეჭველად ლირის იქნება ბედსა ვწიო, მთელს ჩემს სახელმწიფოში პირ-



### ველ კაცად ვაქციოო.

ამ მეფეს ერთი ზარმაცი ქალიშვილი ჰყავდა. მისი სიზარ-მაცე მოელმა ქვეყანამ იცოდა. შინიღან გარედ არ გამო-დიოდა, იჯდა ერთ ადგილს; დაიღლებოდა, ლოგინზე გაღავორ-დებოდა და გადმოგორდებოდა. არაფერს არ აკეთებდა; საჭმელ-საც კი პირთან მხლებელი მიუტანდა.

მეფემ იფიქრა: თუ ირემი იმ ყმაწვილმა კაცმა უღელ-ში შეაბა, უეჭველად ჩემს ქალსაც ადამიანად ძეცევსო.

გივიმ ირემი დააბა. სამი დღე არაფერი აქაშა; ძლიერ მოამზია. მეოთხე დღეს კისერზე სიძძიმე დაპკიდა, მეხუთე დღეს ხართან უღელში შეაბა, და გუთანი მოუბა. დედას წინ იღ-ლით თივა დაპერინა და უთხრა: რამდენიც ირემეა გამოი-წიოს, შენ იმდენად წინ წაღიო.

ამრიგად ირემი შემჩიდა ხართან გაწევას. ხვნის დროს

ჩამოიარა ხელმწიფებ და ძალიან გაუკვირდა. მან გულში გადა-  
სწყვიტა: ჩემი ქალი მაგას უნდა მივათხოვონ!

ნაზირ-ვეზირებმა მეფის აზრი მოიწონეს. მეფებ უთხრა  
გივს: რაღაც ასეთი მოხერხებული კაცი ჰყოფილხარ, ჩემი  
ქალიშვილი შენ უნდა მოგათხოვო, მხოლოდ იცოდე, ჩემი  
ქალი ზარმაცია და შენ უნდა ზარმაცობას გადააჩინო.

მეფებ უმზითოდ მიათხოვა თავისი ზარმაცი ქალი, სახ-  
ლად ცეფუ.



ფეფომ თავისი ჩვეულება არ მოიშალა. დაჯდა ქოხის  
ერთ კუთხეში და არ ინძრეოდა. მის ირგვლივ ოთახი ნაკვით  
აიღსო. გივიმ თავისი დედა გააძრახა, რომ მეფის ქალს არა-  
ფერში დაჭმარებოდა. ერთ დღეს გივიმ უთხრა თავის დედას:

— დედი! ამას იქით ჩვენს ოჯახში ვინც რამდენს იმუ-  
შავებს, პურსაც მის კვალობაზე შესჭამსო, და გამოვიდა  
გარედ.

საღამოზე უკან დაბრუნდა და დედას ჰყითხა: აბა, შენ  
რა გააკეთეო? დედამ უამბო: ეზო დავგავე, ბოსტანი მოვრ-  
წყე, ჩვენს საქონელს თივა დავუყარე და დავაბინავეო! გი-  
ვიმ უთხრა: მეც ვენახში ათი ვაზი დავაწვინე და საღამო ხანს  
ჯაგი დავჭერ ვენახის შესალობად. ამ ჩემმა ცოლმა — მეფის  
ქალმა — რაღა გააკეთოო?

— არაფერიო — მიუგო დედამ.

— მაშ, რაღან მე ყველაზე მეტი ვიმუშავე, ერთი მთე-  
 ლი პური მეკუთვნის; შენ — ნახევარი და ჩემს ცოლს კი არა-  
 ფერიო — უთხრა გივიმ.

მეორე და მესამე დღესაც გივი ასე მოიქცა და თუ და-



ინახავდა, რომ დედას ცოტა მეტი უმუშავნია, პურსაც გო-  
 ჯობით უმატებდა.

დედა-შვილნი დასხდებოდენ, მაღიანად შეექცეოდენ ცა-  
 ლიერ პურს და მეფის ქალს კი აცქერინებდენ.

ქალმა თქვა: მევ თუ ხელი არ გავანძრიე, ესენი აღარ  
 ხუმრობენ, შიმშილით მომკლავენო. ვაუი ვენახში წავიდა სა-  
 მუშაოდ, ვაუის დედა კი ბოსტანში. პატარძალი ზლაზვნით  
 წამოდგა, ხან იქით მიდგა, ხან აქეთ, იპოვა ცოცხი, თავის  
 ვარშემო მიგავ-მოგავა და ისევ დაჯდა.

დედა ადრე დაბრუნდა შინ, ირემი და ხარი დაბინავა.  
 მოვიდა გივიც. იანგარიშეს, ვის რამდენი უმუშავნა. ვაუს  
 შეპრედა პურნახევარი, ხოლო დედას ერთი პური.

ქალმა ტირილი დაიწყო: ჩემს შრომას რატომ ვერა.  
 ჰედავთო?

გრვი დაკვირდა და დაინახა, რომ ცოცხი გვერდზე ეგ-  
დო და ოთახის ერთი კუთხე მიეგავა; დედას უთხრა: რად-  
გან ერთი კუთხე დაუგვია შეიძლება, რომ პატია ყუის ნა-  
ტეხი მისცე, მაგრა შრომა მეტად არა ღირსო.

რაც მისცეს, ორ ლუქმად არ ეყო. ამან უფრო მაღა  
გაულვიძა. ქალი ეხეწება მათ: მაჭამეთ და ხვალ მთელს ოთახს  
დაუგვიო, მაგრამ თხოვნა არ შეიწყნარეს.

მეორე დღეს ქალმა მთელი ოთახი დაგავა — პურიც მოუ-  
მატეს. მესამე დღეს ოთახი დაგავა და საქონელიც დააბი-  
ნავა, — პური კვლავ მოუმატეს, — მეოთხე დღეს ოთახიც და-  
გავა, ქათმებს საკენკი დაუყარა, სარეცხი დარეცხა და სა-  
ქონელიც დააბინავა — საგძალი გაუთანასწორეს.

მეფემ თქვა: ერთი ჩემი ზარმაცი ქალი უნდა ვნახო, რა  
დღე ში იმყოფებაო. მოვიდა სიძესთან და სიხარულით ცას  
ეწია: მისი ზარმაცი ქალი ფურსა სწველიდა. წველი რომ  
გაათავა, ეზო დაგავა, ტრიალებდა ოჯახში, როგორც კარგი  
დიასახლისი. გივი მეფეს მიეგება, შემდგომ კი სადილის მზა-  
დებას შეუდგა: ცხვარი და ერთი ინდოური დაჰკლა. გივი  
რომ ქვევრის ასახდელად წავიდა, ქალმა უთხრა მეფეს:

— მამავ, შენც გაისარჯე, თორემ აქ ისეთი ხალხია,  
თუ არ იმუშავე, არაფერს გაკმევენ და მშეირს დაგროვე-  
ბენო. მეფე შეფიქრიანდა.

გივიმ მეფე თავის ამალით ბანზე აიყვანა და უთხრა:  
თქვენ აქ მოითმინეთ, სანამ სუფრას გავშლიო.

ელოდებიან გივის. სადილობა გადავიდა. ყველას მოჭი-  
ვდა და რომ შიმშილი გაიქარვონ, ახლაც მიწა-დაყრილ ბან-  
ზე გაივლიან და გამოივლიან. ბოლოს გივიმ შეატყობინა:  
მობრძანდით, ახლა დრო არის, სადილს შე-ექცეოთ.

როდესაც სუფრას გარშემო უსხდებოდენ, მეფემ ჰკითხა  
გივის:


— ჩემთ გივი! თითქოს შენ ისეთი ჩვეულება გქონდა,  
თუ კაცმა არ იშრომა, ლუქმას არ შეაჭმევ; აი, ჩვენ არათერი  
გაგვიკეთებია და ჩინებულად კი გვიმასპინძლდებიო.


— არა, მეფეო, — მიუგო გივიმ — დღეს თქვენ დიდი საჭ-

მე გამიკეთეთ: შენ და შენმა ამალამ სახლის ბანზე ნაშალი  
 მიწა დამიტკეპნეთ, რის დატკეპნასაც მე ორ კვირას ვერ მოვ-  
 რჩებოდიო.

მეფემ გულიანად გადიხარხარა და თავისი ტახტი შრო-  
 მის შვილს დაუთმო.

სანდრო შანშიაშვილი.





შუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

## სახალხო თეატრი

(1893—1923)

დეკემბრის 9-ს ღიღის ზეიმით იდლესასწაულებს სახალხო თეატრის არსებობის 30 წლის თავი.

ამავე დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე, გადახდილ იქმნა სამგლოვიარო პანაშვილი გარდაცვლილ სცენის მუშაკთა: მარიამ დემურიასი, ის. ძეგლაძის, დ. შველიძის, გ. გელიკურაშვილის, დარია რჩეულიშვილის და სხვ. ორკესტრი უკრავდა სამგლოვიარო პიმჩის.

საზეიმო სალამო გახსნა გ. ყურულაშვილმა, მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა მიხა ცხაკაიამ.

შემდეგ დაიწყო წარმოდგენები: სცენაზე გათამაშებულ იქმნა იმ „ოცდათი პიესის პროფილები“, რომელსაც არა-ერთხელ დაუტკბია მშრომელი ხალხი.

ოთხმოცდათიან წლებში, თბილისის განაპირა უბნებში, უმთავრესად მდაბიო ხალხის წრიღან გამოსულმა მოწაფე-ხელოსნებმა დაიწყეს ქართული წარმოდგენების მართვა.

ამ დროს, მართალია, არსებობდა სათავადაზნაურო ქართულაში ქართული დრამატიული დასი, მაგრამ ამ წარმოდგენებს მუშა-ხალხი ნაკლებ ეტანებოდა, — ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს თეატრი კარგა მანძილით იყო დაშორებული ღარიბთა უბნებს და მეორეც: მსახიობთა წარმოდგენების ფასი მუშა ხალხისათვის მოუწვდომელი იყო.

თვით ხალხის შეილებმა განიზრახეს საკუთარი თეატრის შექმნა:

ჯერჯერობით წარმოდგენები იმართებოდა ნაძალადევში, ვერაზე, ავლაბარში, ხარფუხში.

წარმოდგენები იმართებოდა ეზოებში, აივანზე, სახლებში, სადაც ფარდისა და დეკორაციის მაგივრობას სწევდა — ხალიჩა, ზეწარი, საბნისპირი და სხვ.

ხშირად პიესები იღგმებოდა პოლიციის ნებადაურთველად, ვინაიდან წარმოდგენის გამართავის ნება ეძლეოდათ მხოლოდ პროფესიონალ მსახიობთ.

და ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ეს „მსახიობნი“, გრიმებსა და ტანისამოსში გამოწყობილი, არაერთხელ წაუყვანიათ პოლიციაში.

მაგრამ ბოლო დროს საჭირო გახდა სახალხო წარმოდგენების ლეგალობა.

შესდგა კიდეც პატარა ჯგუფი ავჭალის ქუჩის მიდამოებში, წმ. ნინოს უბანში; ამ ჯგუფს შეუერთდენ სხვა უბნის მოწინავე ახალგაზრდა სცენისმოყვარენიც და ღაარსდა: „სცენის მოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა.“

ახლა საჭირო შეიქმნა შესაფერი შენობის ძებნა.

მიაგნეს კიდეც:

ხოლოერობის დროს, 1892 წ. ქალაქის თვითმართველობამ ავჭალის ქუჩაზე ააგო საჩივი. ამ შენობის საქმესთან ახლო იდგა ექიმი ნ. ა. ხუდალოვი — ქალაქის ხმოსანი და სიფხიზლის საზოგადოების თავმჯდომარე.

ამხანაგობამ მიიღო ეს შენობა, რომელიც ხელად სათარო-  
რო დარბაზად გადააქციეს, მოხსნეს წყლის ასაღულებელი  
ქვაბი, საამხანაგოდ შეკრებილ თანხილან იყიდეს ფიცრები და,  
ვინაიდან ყველა სცენისმოყვარე რაიმე ხელობის მატარე-



მარიამ ივანეს ახული დემურია, რომელსაც დიდი ღვაწლი მი-  
უძღვის სახალხო თეატრის დაარსებაში.

ბელი იყო (დურგალი, ზეინკალი, მღებავი, კალატოზი), საკუ-  
თარი შრომით მოაწყვეს სცენა და პარტერი.

პირველი ოფიციალური სახალხო წარმოდგენის თარიღია  
1893 წ.

ითამაშეს ასიკო ცაგარლის პიესა: „რაც გინახავს, ვე-  
ლარ ნახავ!“

მართლაც, ამ სათაურთან ასოციაციით თითქოს დაკავ-  
შირებული იყო ის, რომ წინად „რაც ენახათ“, ის აღარ იყო.  
ეს იყო უკვე თეატრი, პატარა ფარგალში მომწყვდეული,  
მაგრამ ღიღი იდეის მატარებელი.

ამხანაგობას თანდათან ემატებოდენ სხვა შეგნებული  
მუშებიც;

სცენისმოყვარეთა გარჯალობამ და იდეამ დააინტერესა  
ინტელიგენციაც და ხშირად რეპეტიციები იმართებოდა ინტე-  
ლიგენტთა კერძო ოჯახებში.

ამავე დროს, პარალელურად, შესდგა ამხანაგობა ავლაბარ-  
შიაც, სადაც შტაბქაპიტანმა მურაშვილმ ააგო პატარა თეატრი.

საქმისადმი სიყვარულით აიხსნება ის გარემოება, რომ  
სცენის მოყვარენი არავითარ სასყიდელს არ იღებდენ; პირი-  
ქით: მთელი ღლის შრომით დაქანულნი მიდიოდნენ თე-  
ატრში და თავიანთ ძალლონებს (როლების სწავლა, დეკორა-  
ციების დაღვმა) ხელოვნებას სწირუავდენ.

როცა 1907 წელს სახალხო სახლის აშენების სურვილი  
დაებადა მმ. ზუბალაშვილებს, მუშებს ლიდად გაუხარდათ:  
მიატოვეს განაპირა უბნები, გადავიდენ ზუბალაშვილების სახლ-  
ში, მოიწვიეს რეჟისორი და მათ იდეურ წარმოდგენას უფ-  
რო მხატვრული ელფერი მიეკა.

ზუბალაშვილების სახალხო სახლის ფარდა პირველად  
აიხადა 1909 წ. აპრილის 4-ს.

ტფილისის განაპირა უბნებში გამართულ წარმოდგენებს  
ღიღი დამსახურება მიუძღვის მუშაოა წინაშე.

ქართულმა წარმოდგენებმა ბევრ შრომელს შეაყვარა  
შშობლიური ენა, წმინდა ზრახვები და ბევრიც ჩამოეხსნა სა-  
მიკიტნოებს და ცუდმოუბარობას.

სახალხო თეატრის სცენა ტრიბუნა იყო, საიდანაც  
ხალხს ესმოდა სოლიდარობის და ძმობა-ერთობის დევიზი.

და აი, ეს 30 წლის ჭაბუკი, რომელსაც პირველი წელი  
გამოძირდი სჭიროდა, შემდეგ მასიური აღტყინება და ბოლოს

ყიფინა — დღეს დადაფნილი და გამარჯვებული სდგას ჩვენს  
წინაშე და მოელის ჩვენს ტაშისცემას.

ნუ დავიშურებთ ამ მცირე ჯილდოს.

ფირუზი.



ავჭალის აუდიტორია, რომელშიც იმართებოდა  
სახალხო წარმოდგენები.



## ჯეჯილის ფოსტა

ქ. ტფილისის სპარტაკის საბჭოს. უურნალის რედაქტორი გთხოვთ მოგვაწოდოთ მასალები სპარტაკის ცხოვრებიდან. სასურველია ცოცხალი მასალების შეკრება თვით კოლექტივების ცხოვრებიდან.

მოგვაწოდეთ აგრეთვე თვით ბავშვთა შემოქმედება: ლექსები, საუბრები, მოთხრობები, კედლის გაზეთი, ხელთანაწერი უურნალი, სურათები და სხვა.

საქ. სპარტაკის ყველა საოლქო და სამაზრო საბჭოებს. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები სპარტაკის მუშაობაზე. სასურველია თვით ბავშვების შემოქმედების და კორესპონდენციების მეტი მოწოდება, რომ ახლად გამოცემული უურნალი გავაძლიდოროთ მასალებით, რასაც გქნება სამაგალითო მნიშვნელობა.

ახალგაზდა პროლეტარულ მწერლებს. რედაქტორი გთხოვთ მოგვაწოდოთ საბავშო ლექსები, მოთხრობები, საუბრები და თამაშობანი.



# გასართობი

## გამოცანა

ერთი რამ არის სარკესებრ, მთელი ქვეყნები შიგ ჩნდება,  
 ვინც მახა დიდხანს დასცემულს, ბელნიერი შეიქნება.

## იასართობი ამოცანები

ორმა ბავშვა გამოიგონა ასეთი თავშესაჭრევი: ერთი-  
 ერთმანეთს რიგ-რიგად ეუბნებოდენ რაიმე რიცხვებს — არა უმე-  
 ტეს ათისა. რიცხვებს, წარმოთქმის დროს, უმატებდენ ერთი-  
 ერთმანეთს და გამარჯვებული ის გამოვიუთა, ვინც პირვე-  
 ლად წარმოსთქვამდა რიცხვ 100. აბა, წარმოიღვინე შენი  
 თავი ერთი ბავშის მაგიერ და იმეცადინე, რომ გამარჯვებული  
 გამოხვიდე.

ამოცანები, რომლების გადასაწყვეტად არითმეტიკული  
 მოქმედება არ არის საჭირო:

1. რიცხვი 66 უცბად გააუდე თავის ნახევრით.
2. რიცხვი თორმეტი გაჰყავი ქაღალდზე ორ თანასწორ  
 ნახევრად ისე, რომ ერთი ნახევარი გამოვიდეს შვიდი.

## მოულოდნელი დაკარგვა

ორმა დედაკაცმა მოიყვანა ბაზარში გასაყიდად წიწილები,  
 თითომ 30 წიწილა.

პირველს უნდოდა წყვილი 1 მან. გაეყიდა და მეორეს  
 კიდევ 3 წ. მანეთად. პირველი ფიქტობდა, რომ თავის  
 წიწილებში აიღებდა სულ 15 მანეთს და მეორე — 10 მანეთს.  
 მათ გადასწყვიტეს, შეაერთონ ეს წიწილები და ისე  
 გაჰყიდონ. შართლაც, ყველა ესენი მოათავსეს ერთს კალათში  
 და დაიწყეს ხუთ-ხუთი წიწილის ორ მანეთად გაყიდვა, რად-  
 განაც იფიქრეს, რომ თუ პირველის წყვილი ლირს 1 მანეთი  
 და მეორის სამი ლირს 1 მან, — ცდადია, მათ 6 წიწ. უნდა  
 გაჰყიდონ 2 მანეთად. როდესაც ყველა წიწილები გაჰყიდეს,  
 დაიწყეს ფულის ანგარიში და, ნახეთ მათი განცვიფრება, რომ  
 25 მან. მაგიერ 24 მანეთი გამოუვიდათ.

დედაკაცებმა დაიწყეს წიწილების ხუთეულებით ანგარიში  
 და გამოუვიდათ 12 ხუთეული (ესე იგი 60 წიწილა, როგორც  
 წინად იყო) გაამრავლეს 2 მან. და მიღეს 24 მანეთი. „სად



დაიკარგა ეს ერთი მანეთი? — ფიქრობდენ ისინი.

იქნებ თქვენ იპოვოთ დაკარგული მანეთი?

### მოხერხებული გაყოფა

ორი გლეხი ჩამოჯდა გზის პირად სასაუზმოლ. ამ დროს მათთან მივიდა მგზავრი და სთხოვა, რომ მას მისცენ გლეხებმა ნება ისაუზმოს იმათან ერთად, რადგანაც მას თან საგძალი არ აქვს, და რაც შეხვდება გადასახადი, იმას გადახდის. გლეხები დასთანხმდენ და ამოიღეს თავის საგძალი: ერთმა ორი პური და მეორემაც — ერთი. სამივე შეუდგენ საუზმობას და ერთნაირად სჭმდენ ამ პურებს. წასვლის დროს მგზავრმა გადასცა მათ 5 მანეთი.

როგორ უნდა გაიყონ გლეხებმა ეს ფული?

### ჯადოსნერი თაბულა

5 რიგი	4 რიგი	3 რიგი	2 რიგი	1 რიგი
16	8	4	2	1
17	9	5	3	3
18	10	6	6	5
19	11	7	7	7
20	12	12	10	9
21	13	13	11	11
22	14	14	14	13
23	15	15	15	15
24	24	20	18	17
25	25	21	19	19
26	26	22	22	21
27	27	23	23	23
28	28	28	26	25
29	29	29	27	27
30	30	30	30	29
31	31	31	31	31
16	8	4	2	1

თაბულა შესდგება რიცხვებიდან — 1-დან 31-დე, რომელიც ჩამოწერილია ერთნაირად; ამ თაბულას აქვს „ჯადოსნური“ თვისება: ჩაიფიქროს ვისაც სურს რომელიმე რიცხვი 1-დან 31-მდე და სთქვას, რომელ რიგებშია ეს რიცხვი; ამის შემდეგ შენ შეუცოდლად შეგიძლია გამოიცნო ეს რიცხვი.

მაგ. გითხრეს, რომ დანიშნული რიცხვი არის 1, 2, 3 და 5 რიგში; ცოტაოდენი მოფიქრების შემდეგ შეგიძლია სთქვა, რომ ეს რიცხვი არის 23.

აბა, იმეცალინეთ, რომ გაიგოთ, როგორ შეგვიძლია გამოვიცნოთ ყოველივე ჩაფიქრებული რიცხვი 31-ს ფარგალში.

ს. გოგლიჩიძე

## შარადა

(წარმოდგენილი იანლისაგან)

ყველაფერს ანივებს,  
როდესაც გაგიუდება;  
მის სახელს წინ სამ ასოს  
მოვკეცავთ — ღაგვჭირდება.

\* \*

შემდეგ უნდა გავიგოთ,  
დეპეშებს რით გზავნიან,  
(უიმისოდ ამბავი  
მიგა ადგილზე გვიან.)

\* \*

უკან მოვსწყვიტოთ ოთხი  
ასო ამ რიგის სახელს,  
და მივუმატოთ, რაც რომ  
გვქონდა, მას, — მივიღებთ მთელს.

\* \*

შემდეგ უნდა მოსძებნოთ  
ყურძენი სად იზრდება,  
მეორე სიტყვისათვის  
უთუოდ ღაგვჭირდება.

\* \*

ამ ადგილის სახელი  
შარალისთვის კარგია,  
მხოლოდ წინ — ერთი, და უკან  
ორი ასო — ბარგია.

\* \*

თუ ზედმეტს ჩამოვალით,  
დასრულდება შარალა;  
ორი სიტყვით შესდგება,  
ჩვენდა გასახარათ.

№ 9 – 10 ბორივებული რებუსის ახსნა: გაუმარჯოს  
პროლეტარების უმარჯვების ექვივი წლის თავს — ოქტომბრის  
რევოლუციას.

შინლიონი



განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარული მუნიციპალური  
მართველობის სალიტერა წურო-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობის დამსახურების  
ბით გამოცემულ წიგნების სია:

(ფასები ჩერვონცებით).

ფასი

1.	„ნაკადული“ 1921 წ. №№ 1922 წ. №№ თითო წიგ. 15	კ.
2.	„ჯეჯილი“ 1921 წ. 1922 წ. №№	" 25 "
3.	„ნორჩი ძალა“—კრებული . . . . .	15 "
4.	„სამი ამბავი“—შიო მღვიმელისა . . . . .	10 "
5.	„კოკროჭინა“—დ. ღონდუასი. . . . .	10 "
6.	„ბელა ბეკეკა“ . . . . .	10 "
7.	„შემოდგომა“—ფერად-სურათებიანი წიგნი . . . . .	70 "
8.	„დედაბერი, ტურა და მელიძ კუდი გრძელია“ .	50 "
9.	„ბავშებს“—ლექსები გ. ქუჩიშვილისა. . . . .	20 "
10.	„ტყის ზღაპარი“—მამინ სიბირიაკისა, თარგ... .	20 "
11.	„ტყის სურათები“—შიო მღვიმელისა . . . . .	25 "
12.	„კიანჭველას საოცარი თავგადასავალი“ . . . . .	30 "
13.	„თავისუფალ ბავშთა სიმღერები“ . . . . .	2 "
14.	„ქართული მოძრავი თამაშობანი“ . . . . .	80 "
15.	„ტრიადის ომი“—ალ. მიქაბერიძისა . . . . .	80 "
16.	„იგავ-არაკნი“—ალ. მირიანაშვილისა . . . . .	30 "
17.	„საბავშო პიესათა კრებული“ . . . . .	70 "
18.	„ივანე სულელი“—ზოაბარი. ლ. ტოლსტოისა	15 "
19.	„ლურჯი ფრინველი“ . . . . .	50 "
20.	„ნაკადული“ 1923 წ. თითო № . . . . .	25 "
21.	„ჯეჯილი“ 1923 წ. თითო წიგნი . . . . .	40 "
22.	„ზამთარი“—ფერადი სურათებით. . . . .	50 "
23.	„უძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“ .	45 "
24.	„როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“	25 "
25.	ზღვის სიმდიდრე. . . . .	20 "
26.	რას გვიამბობს ოთახი . . . . .	20 "
27.	მოძრავი სიმღერები თამაშობით—გოგლიჩიძისა .	
28.	ოვიდიუსის მეტამორფოზები ალ. მიქაბერიძისა	
29.	ნაკადული № 11—12 . . . . .	30 "

1924 6.

მიიღება სელის მოწერა საუმარტვილო დასურათებულ  
ეოველთვიურ ქურნალებზე:

ମେଳକର୍ତ୍ତରଙ୍ଗେ: ୧୯୦୩ ମୁଦ୍ରଣ ୩୦ “ ପାଞ୍ଚଶିଲା

მცირებწლოვ. „ნაკადული“ გვ-XX წ.

გამოდის უკველთვიურად.

კურნალი გამოდის განათლების სახალხო კომისა-  
რიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის  
სალიტერატურო-სამსატვრო სექციის და საქართვ-  
ასალგაზრდათა კომუნისტ. კავშირის ცენტრალურ  
კამიტეტის სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანე-  
ლობით.

କେଳିବେ ମର୍ଯ୍ୟାନା ମହିଳାଙ୍କ ତଥା ଶୁଣାରେ.

ცალკე: „ჯეჯილი“ 40 კ.

" ၅၁၂၄၉၆၇၀ " 25 ပ.

ქალაქ გარედ გაგზავნა ხელის მომწერის ხარჯზე.

მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5. განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია.

რედაქტირებულ შეიძლება სიში ჩამოთვლილ წიგნების შექმნაც.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.